

ლევან გვიბაძე

# მეფეთ-მეფე თ ა მ ა რ ი

*ნაშრომზე მუშაობისას განუვლი სულთიერი თანადგომისა და საჭირო წინადადებებისათვის ვმადლობ თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის (თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე) დიაკონს, ჩემს სიძეს – გიორგი ხანთაძეს.*

2014 წელი

თუ წელში გამართულა რო-  
დისმე ქვეყანა, ეგ იმის მეფობის  
დროს გაიმართა. მზეს თუ რო-  
დისმე საქართველო გაუნათებია და  
გაუთბია, იმის დროს ყოფილა;  
სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულ-  
სა-სიმტკიცე, მულავსა-სიმაგრე, ეგ  
დალოცვილის მეფის თამარის  
დედობის დროს მომხდარა! ის  
დედა იყო, ჩვენ შვილები... დე-  
დაჯაცი იყო, - ჯურობეულ არს სახ-  
ელი მისი! - და დედაბოძად ჯი  
შეექმნა ჩვენს ქვეყანასა.

წმინდა ილია მართალი  
(ილია ჭავჭავაძე)

ძვირფასო მკითხველო,  
ზუსტად რვა საუკუნეა გასული მას შემდეგ,  
რაც ჩვენი ერი მეფეთ-მეფედ ღირსეულად წოდებულ  
წმინდა თამარს გამოეთხოვა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის დღემდე მოურჩე-  
ნელია უძვირფასესი მეფის ამ წუთისოფლიდან გა-  
სვლის ტკივილი. გალეული რვაასი წლის მიუხედა-  
ვად, მოუშუშებელი ჭრილობით გამოწვეული მწუნა-  
რება თაობიდან თაობაში გადადის და კვლავაც თავს  
გვანსენებს. ცხადია მხოლოდ ერთი: ასე გაგრძელ-  
დება, ვიდრე ჩვენი სამშობლო იარსებებს, მოკლედ  
ვთქვათ, - სამუდამოდ!...

საქართველოს დედაეკლესიის დიდმა წინამ-  
ძღოლმა, - ბრძენმა ილია მეორემ 2013 წელი წმინდა  
თამარ მეფის წლად გამოაცხადა, რადგან მეცნიერთა  
მიერ დადგინდა, რომ 1213 წელს გარდაიცვალა საყვა-  
რელი მეფე.

ქართველი ერის სულიერი მამამთავრის ზემოთ  
აღნიშნულმა მოწოდებამ, სურვილი დაბადა ჩემში,  
თამარ მეფის საიუბილეო თარიღს მეც შევხმიანებოდი  
და დამეწერა მოკლე ნაშრომი ამ უბრწყინვალეს  
წმინდა მეფეზე.

ვფიქრობ, წინამდებარე წიგნი განსაკუთრებით  
სასარგებლო იქნება ახალგაზრდა მკითხველისათვის  
და გარკვეულწილად ხელს შეუწყობს მათი სულიერი  
სიჯანსაღისა და მამულიშვილურად აღზრდის საქმეს.

*ავტორი*

# გმინლა მეფე თამარი

თამარ მეფე ქართველი ერისათვის განსაკუთრებულად საყვარელი და ძვირფასია. ამ უდიდესი წმინდანისა და გვირგვინოსნის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ არამარტო ქართული ისტორიული წყაროები, არამედ უცხოელ სპეციალისტთა მრავალი მასალაც.

დღესაც კი, საზოგადოების გაოცებას იწვევს მაღალ თანამდებობაზე მანდილოსნის გამოჩენა და ცხადია, მით უფრო ქვეყნის უმაღლეს მმართველობით საფეხურზე წარმოჩენა.

ქართველებს ამ მხრივაც ნამდვილად გვაქვს საამაყო. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, ჩვენი სამშობლოს უპირველესი თანამდებობრივი სავარძელი, უფლისაგან უმაღლესი სიბრძნით დაჯილდოებულმა და გარეგნულადაც უმშვენიერესმა ჩვიდმეტი წლის თამარმა დაიკავა; ეს 1178 წელს მოხდა, როცა სახელოვანმა მეფე გიორგი მესამემ, საკუთარი შვილი – თამარი ტახტის თანამოზიარედ აკურთხა.

გიორგი მეფემ თანამესაყდრეობის ხუთი-ექვსი წლის მანძილზე ძალ-ღონე არ დაიშურა იმისათვის, რომ თამარი ღირსეულ მეფედ ჩამოყალიბებულიყო.

1184 წლის მარტის მიწურულს მეფე გიორგი მესამე გარდაიცვალა.

იმ მდგომარეობის სათავესოდ გამოსაყენებლად და ქვეყანაში შინააშლილობის გამოსაწვევად, მეფის

მიერ დამარცხებულმა და სამართლიანად დასჯილმა ღიდგვაროვნებმა, თამარის ტახტის საკითხი სადავოდ აქციეს. სწორედ ამიტომ, თამარი საქართველოს სამეფო ტახტზე სასწრაფოდ განმეორებით აკურთხეს.

კურთხევის რიტუალი ღიბთიმერელმა წარჩინებულებმა და საეკლესიო მოღვაწეებმა: ქუთათელმა ეპისკოპოსმა – ანტონმა და რაჭა-თაკვერის ერისთავმა კახაბერმა აღასრულეს. ამ უკანასკნელმა კი, თამარს ჯარის მთავარსარდლობის და სამეფოს უზენაესი წინამძღოლობის დასტურად ხმალი შემოარტყა წელზე.

თამარის გამეფებით, თავდაპირველად გაიხარეს ჩვენი ტრადიციულად ჩასაფრებულმა მტრებმა: ოსმალებმა და სპარსელებმა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ქალი თავს ვერ გაართმევდა ქვეყნის წინამძღოლობას, ვერც მათ წინააღმდეგ ბრძოლას გაბედავდა და ძალიან ძალე, საქართველოს კისერზე უღელს დაადებდნენ.

როგორ მწარედაც მოტყუვდნენ ჩვენი სამშობლოს მოძულენი, ეს ყოველივე, შემდგომმა ისტორიულმა მოვლენებმა ცხადჰყო.

თამარის გამეფების ოფიციალური საზეიმო რიტუალის დამთავრებისთანავე, ქვეყნისადმი არაკეთილგანწყობილად მოქმედმა ღიდებულთა გარკვეულმა ჯგუფმა, მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის მომხრეებთან ერთად, ახალგაზრდა თამარ მეფეს ორი მოთხოვნა წაუყენა:



*ლრი მეფე: თამარი და გიორგი III*

**პირველი.** მეფე გიორგი მესამეს მიერ, სახელმწიფო მართვა-გამგეობის სფეროში დაწინაურებული ნიჭიერი, მაგრამ შთამომავლობით დაბალი წარმომავლობის მოხელეთა სასწრაფოდ დათხოვნა და მათ ადგილებზე დიდგვაროვანთა აღდგენა-დანიშვნა;

**მეორე.** სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სტრუქტურაში საგანგებო დაწესებულების - „კარავის“ შექმნა.

დიდგვაროვანმა აზნაურებმა ერთსულოვნად განუცხადეს თამარ მეფეს, რომ აღარ დაემორჩილებოდნენ „უგვარო“ დიდმოხელეებს და ამიტომ, დაუყოვნებლივ მოითხოვეს მათთვის თანამდებობების ჩამორთმევა.

საქმე იმაში იყო, რომ ასეთ „უგვაროთა“ შორის, ისეთი ადამიანები სჭარბობდნენ, რომლებმაც ქვეყნისა და გიორგი მეფისადმი ერთგული მსახურებით გამოიჩინეს თავი.

გაფიცულმა დიდგვაროვნებმა, უმთავრესად მიზანში ამოიღეს სამშობლოს ჭეშმარიტად ღირსეული შვილები: ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი.

მართალია, ეს ორივე პიროვნება გიორგი მეფისა და თამარისთვისაც ყველაზე ერთგული მოხელეები იყვნენ, მაგრამ სახელმწიფოში შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სამეფო კარი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და ქვეყნისათვის თავდადებული ვაზირები თანამდებობიდან გაენთავისუფლებინა.

თამარის ინიციატივით, სამეფო კარის მიერ გადაღებული ეს იძულებითი ნაბიჯი გარკვეულწილად შეიძლება მეფის მცირე მარცხადაც იქნას მიჩნეული.

განთავისუფლებული ადგილების დასაკავებლად, დიდგვაროვანთა შორის გაჩაღდა ბრძოლა, რომელშიც საკუთარი პროგრამით წარმოჩნდა მეფის ვაზირი ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი. მას კონკრეტული პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდა და გულით ეწადა ამირსპასალარობა, რაც დღევანდელი თავდაცვის მინისტრობის ტოლფასია. გარდა ამისა, მისივე სურვილით, სახელმწიფოს მმართველობაში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები უნდა მომხდარიყო და აუცილებლად შექმნილიყო „კარავი“.

გაფიცულებს ახალი სახელმწიფო დაწესებულების დაფუძნება თბილისის ცნობილ უბანში, მაშინდელ ისანში (ახლანდელი ავლაბარი) სურდათ. იმავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება - „დარბაზი“ და მეფის სასახლეც.

დარბაზის მოწვევის უფლებამოსილება მხოლოდ მეფეს ჰქონდა.

ყუთლუ-არსლანის მიზანი დარბაზის გაუქმებასა და მეფის სასახლის გვერდით, კარავის ფუნქციონირებას ითვალისწინებდა, თანაც ისე, რომ დიდგვაროვნებს მეფისაგან დამოუკიდებლად და მის ჩაურევლად გადაეწყვიტათ ქვეყნის მართვისა და უზენაეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები.



გაფიცულთა მხრიდან, სახელმწიფოს მართვის ასეთი სახით მოწყობაზე თანხმობა, რაღა თქმა უნდა, ფაქტიურად ნიშნავდა მეფის ძალაუფლების გაუქმებას.

ასე რომ, სრულიად დაუფარავად, ყუთლუ-არსლანი და მისი მხარდამჭერები სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და მეფისათვის კანონმდებლობით უფლებამოსილების ჩამორთმევას ლამობდნენ.

თავის უერთგულეს და უახლოეს ადამიანებთან მოთათბირების შემდეგ, დიდმა მეფემ ყუთლუ-არსლანის დასაპატიმრებლად განკარგულება გასცა.

წინამძღოლის შეპყრობას შეფიცულების აღმოფოთება მოჰყვა. მათ იარაღი აიღეს ხელში და თამარს ულტიმატუმით მიადგნენ სასახლეში, მეთაურის სასწრაფოდ გასანთავისუფლებლად.

თამარ მეფემ სამეფო კართან ერთად, გონივრულად შეაფასა შეთქმულებაში მონაწილეთა სურვილი და დაასკვნა, რომ მოთხოვნის შესრულება ქვეყნის მეფის „ხელმწიფობის დასასრულის“ ტოლფასი იქნებოდა.

გაფიცულთა თავკაცის დაპატიმრებამ, აზნაურულ ოპოზიციაში საკმაო მერყეობა გამოიწვია, რითაც დროულად ისარგებლა უჭკვიანესმა თამარ მეფემ და თავისი პოლიტიკური გამარჯვება მოწინააღმდეგე ფრთის ერთსულოვნების დასუსტებაზე აავო. ახლა უკვე, ოპოზიციონერები მეფის უფლებათა შეზღუდვის მრავალ საკითხში ვეღარ თანხმდებოდნენ და განსხვავებულად აზროვნებდნენ.

ამრიგად, ქვეყნის შინაური ვითარება კვლავინდებურად მძიმე და არასტაბილური რჩებოდა. აუცილებელი შეიქნა მდგომარეობის უმაღლესი განმუხტვა.

გონიერმა თამარმა, ქართველთა შორის სისხლისღვრის ასაცილებლად, ყუთლუ-არსლანის მომხრეებთან შესარიგებლად და საერთო ენის გამოსანახად, ორი ღირსეული და ჭკვიანი მანდილოსანი: კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი წარგზავნა.

სასურველი შედეგი გამოიღო თამარ დედოფლის სიბრძნემ და ქართველ მანდილოსანთა მოციქულობამ გონება გაუნათა აჯანყებულებს. მათ იარაღი დაყარეს და თითოეული მათგანი მაშინვე „მოვიდეს წინაშე თამარისა და დავრდომით თაყვანისცეს, და აღიღეს ფიცი პატრონისაგან (თამარისაგან), და მისცეს პირი ერთგულებისა და ნების ყოფისა თვისისა“.

წარგზავნილებმა დაითანხმეს განდგომილნი, რომელთაც მეფისაგან უვნებლობის დასტური მიიღეს. სამეფო კარმა ყუთლუ-არსლანიც კი არ დასაჯა და ყველანი უვნებლად დაუბრუნა თავ-თავიანთ ოჯახებს.

წუთისოფელში ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს დროს, მრავალჯერ, სწორედ ასეთი ბრძნული გადაწყვეტილებების მიღების გამო, კეთილმოსურნე თამარ მეფემ ქალის პატიოსანი მანდილისათვის თვალშეუწვდენელი სიმაღლის მინიჭება შესძლო.

„კარავის“ დაფუძნება უარყოფილ იქნა.

თუმცა, აღარც მეფეს დარჩა სახელმწიფოებრივი საკითხების ერთპიროვნულად გად-

აწვევების უფლება და აწი უკვე მას საკითხები უნდა გადაეჭრა სამეფო დარბაზში ჩართულ დიდებულებთან ერთობლივად. ამგვარად, დიდგვაროვანთა საკრებულო დარბაზი მეფის თანამონაწილე გახდა. უდავოდ, ეს მეფის ძალაუფლების რამდენადმე შეზღუდვას მაინც მოასწავებდა, მაგრამ თუ გავითავალისწინებთ დიდგვაროვნებს შორის ინტერესთა განსხვავებებს, ასეთი სტრუქტურა ქვეყანას საშიშროებას ვერ შეუქმნიდა, ვინაიდან დაპირისპირებულ ჯგუფში, თითქმის ნებისმიერ სფეროში აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ურთიერთდათმობითი გადაწყვეტილებების მიღებით, საბოლოოდ არცერთი მხარე მთლიანად კმაყოფილი მაინც არ დარჩენილა.

დიდგვაროვანთა მხრიდან, მეფის საწინააღმდეგოდ აზვირთებული გამოსვლა, შეიძლება ითქვას, კრახით დასრულდა, თუმცა, თამარიც იძულებული გახდა რაღაც დათმობებზე მაინც წასულიყო.

ძალიან მალე, ქვეყანა სრულიად დამშვიდდა.

მისი მოწინააღმდეგე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მიქაელის გარდაცვალებისთანავე, თამარმა ახალ ვეზირთა დანიშვნა მოახდინა თანამდებობებზე:

„მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლად და ვეზირად დაამტკიცეს ანტონი, ამირსპასალარად – სარგის მხარგრძელი, მანდატურთუხუცესად – ჭიაბერი, მეჭურჭლეთუხუცესად – კახაბერ ვარდანის ძე, ამირახორად – გამრეკელ თორელი, მსახურთუხ-

უცესად – ვარდან დადიანი, ჩუხჩარესად – მარუშოიანი. ადგილებზე კი „ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნენ: ბასიმ ვარდანის ძე – ვანთა ერისთავად; კახაბერ კახაბერის ძე – რაჭისა და თაკვერის ერისთავად და ოთალო შარვაშის ძე – ცხუმის ერისთავად; ამანელის ძე – არგვეთის ერისთავად და ოდიშის ერისთავად – ბედიანი. ლიხთ ამერთ: ქართლის ერისთავად-რატი სურამელი, და კახეთის ერისთავად – ბაკურ-ყმა ძაგანის ძე და ჰერეთის ერისთავად გრიგოლის ძე ასათ; და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი“.

მეფის უფლება-მოვალეობანი კვლავ გაიზარდა და თამარი სამეფო დარბაზის მხარდაჭერით, ქვეყნის აღმშენებლობით მართვას შეუდგა. სამეფო კართან ერთად, დარბაზის სხდომებზე წყდებოდა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხები.

1185 წელია.

საქართველოსა და რუსეთს ერთმანეთთან სავსებით ნორმალური ურთიერთობა აქვს.

თამარის მამიდა რუსუდანმა, პატრიარქმა, ერისმთავართა ნაწილმა და რიგმა წარჩინებულებმა გადაწყვიტეს მეფისათვის სასწრაფოდ ღირსეული საქმროს მოძიება. ყველას ანერვიულებს თამარის მარტონელობა და ფიქრობს იმაზე, რომ ქვეყანას რაც შეიძლება მალე მოუვლინოს კანონიერი მემკვიდრე-შთამომავალი, ხოლო ჯარს-სარდალი.

სწორედ ამიტომაც, ნაჩქარევად, თამართან შეთანხმების გარეშე შეარჩიეს ღიდგვაროვნებმა

რუსეთის სუზდალის დიდი მთავრის – ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი – იური, მეფის საქმროდ.

თამარი იმ ქორწინების წინააღმდეგი იყო, მაგრამ არც ის სურდა, რომ მოწინავე მმართველ წრესთან ურთიერთობა გაემწვაებინა და იძულებული შეიქნა საკუთარი ნების საპირისპირო გადაწყვეტილებას დათანხმებოდა; თუმცაღა, რამდენჯერმე ითხოვა: არ აჩქარებულებიყვნენ, კარგად გაერკვიათ და აეწონათ სასიძოს ყოფა-ცხოვრების, გონიერებისა და საერთოდ მისი ადამიანური ბუნების სრული ავკარგიანობა.

დარბაზის სხდომაზე, ქრისტეანული რუსეთის სამეფო-სუზდალის სახელოვანი მთავრის შვილი, საქართველოს მეფის სასურველ ქმრად სცნეს.

თბილისის ამირას, - აბულასანის წინადადებით შერჩეული და დარბაზის მიერ მოწონებული სასიძო, რომელიც იმ დროისათვის, ბიძამისის ბრძანებით გაძევებული იყო სუზდალიდან და ყვიჩაღეთს აფარებდა თავს, სამეფო კარის დავალებით დიდმა ვაჭარმა, - ზანქან ზორაბაბელმა თბილისში ჩაოიყვანა.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ გამართული სჯაბაასის მიუხედავად, ყველაფერი უმაღლესად გადაწყდა და მეფის „ცილობის თვინიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი“, რომლის გვირგვინად, ქართველებმა გიორგი რუსის სარდლობით კარნიფორასა და კარსში, ხოლო ცოტა მოგვიანებით, პართიაში ილაშქრეს და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ ქვეყნაში.

სავარაუდოდ, იმ ბრძოლებში, რუს მთავარ გიორგის თავი არ შეურცხვენია.

დროის ძალიან მოკლე პერიოდი დასჭირდა თამარის დაჟინებული წინასწარმეტყველების გამართლებას, სიმთვრალის მოყვარული და ყოველმხრივ უზნეო ბუნების კაცი აღმოჩნდა რუსეთის სახელმძღვანელო მთავრის შვილი და რაც უსათუოდ სათქმელია, იმდენად უღირსი, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ („ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი“) ბასილი ეზოსმოდვარს შეუძლებლად მიაჩნია მასზე საუბარი და ასე ამბობს:

- „გამოაჩნდებოდეს რუსსა სკვითურნი ვითარ ნაღებთა ბუნებითნი. და სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესობად იწყო მრავალთა, რომელთათვის ნამეტნავ არს წერად და თქუმად, რათა არა სიგრძედ მიიწიოს სიტყუა“.

ორნახევარი წელი თამარმა დიდი მოთმინებით აიტანა რუსის ყოვლად უზნეო საქციელი, ხოლო შემდგომ, ეკლესიის მსახურებს სთხოვა ზეგავლენა მოეხდინათ გიორგიზე და ერჩიათ მისთვის ცხოვრების უკვან წესს განშორებოდა.

სამწუხაროდ, ყველა ცდამ ფუჭად ჩაიარა და არავითარი სასიკეთო შედეგი არ გამოიღო.

ამის შემდეგ, თამარ მეფემ პირისპირ საუბარში ამხილა ქმრის მიუღებელი საქციელი და მისი სურვილის შემთხვევაში თანადგომა აღუთქვა იმ მიზნით, რომ ორივეს ერთად ეღონათ ყველაფერი მავნე ჩვევისაგან განსაკურნებლად.

თამარის მხრიდან, ასეთი კეთილი ნების გამოვლენის მიუხედავად, კიდევ უფრო მეტად გამძინვარდა „რუსი, ვითარცა ღმრთისაგან საფარველმოძურცული. ვითარ იტყვის წერილი, „კკურნებლით ბაბილონს და არა იკურნებოდა“. არა თუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძვირესთა მიმართ იწყო და შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა აღმოგდებითა ტანჯნა“.

ახლა უკვე, სხვა გზა-გამოსავალი აღარ დარჩენოდა თამარს, გარდა გიორგი რუსთან განშორებისა.

მეფის დარბაზის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით რუსი მთავარი საქართველოდან გააძევეს. ისტორიკოს-მკვლევართა უმეტესობის აზრით, ეს ფაქტი 1187-88 წლებში უნდა მომხდარიყო.

სახელოვანი რუსი მთავრის ვაჟის საქართველოში ჩამოყვანა და მეფეზე ქმრად ხელდასხმა ქვეყნის მაღალი სოციალური ფენების საკმაოდ გავლენიანი ადამიანების შორს გამიზნულ გარკვეულ პოლიტიკურ გეგმებს ითვალისწინებდა და მათი განხორციელება დიდ ზიანს უქადდა ჩვენს სამშობლოს.

საქართველოს მეფის ქმარყოფილმა დატოვა ჩვენი ქვეყანა და ბიზანტიის ქალაქ კონსტანტინოპოლში გადავიდა საცხოვრებლად.

პირველი ქორწინებიდან ოთხი წლის შემდეგ, თამარს ერთობლივი გადაწყვეტილებით ქმრად შერთეს, საქართველოს სამეფო კარზე რუსუდანის (თამარის მამიდის) მიერ აღზრდილი, ოსთა სახელოვანი მეფე ჯადარონის შვილი, ბაგრატიონთა

საგვარეულოს უახლოესი სისხლხორცეული ნათესავი – დავით სოსლანი.

ბასილი ეზოსმოდგარი „ქართლის ცხოვრებაში“ („ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი“) აღნიშნავს, რომ დავითი ყოფილა „მხნე და მხედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო და მშვილდოსნობითა შემძარ-თებელი, ტანით ახოვანი და ყოვლითურთ სიკეთითა“.

მართალია, იმ ქორწინებას დიდგვაროვანთა უმეტესობა მხარს უჭერდა, მაგრამ უკმაყოფილოთა რაოდენობაც საკმაოდ საგულისხმო ყოფილა თურმე. მოწინააღმდეგეთა შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს სიმშვიდის პოლიტიკა აურჩევია და დავისაგან თავი შეუკავებია.

ცნობილი ისტორიკოსი როინ მეტრეველი აღ-ნიშნავს, რომ: ვახუშტი ბაგრატიონის მტკიცებით, დავით სოსლანი ბაგრატიონთა ოსური შტოს წარ-მომადგენელი იყო და მასში ქართული გენიც ერია, ვინაიდან არამხოლოდ მამის, არამედ დედის მხრიდა-ნაც ენათესავებოდა მეფე გიორგი პირველს და ამის დასადასტურებლად შემდეგ არგუმენტს იშველიებს:

- გიორგი პირველის შვილს (დემეტრეს) ანაკოფიაში ჰყოლია ვაჟი დავითი, რომელსაც გაჭირ-ვების ჟამს, საკუთარ ბებია აღდესთან ერთად, სიცოცხლის შესანარჩუნებლად ოსეთისათვის შეუფა-რებია თავი. იქ დაქორწინებულა ოსთა მეფის ასულზე და ბუნებრივია, გამხდარა იმ მხარის მეფე. დაქორ-წინებულებს შეძენიათ ვაჟი ათონი, ათონს-ჯადარონი, ხოლო ჯადარონს, – დავით სოსლანი.



1189 წელს თამარმა და დავით სოსლანმა იქორწინეს დიდუბის სასახლეში.

იქიდან მოყოლებული ისინი ერთად აგვარებდნენ სახელმწიფო საქმეებს, აწესრიგებდნენ საშინაო და საგარეო საკითხებს; ერთი სიტყვით, ჭეშმარიტად ღირსეული თანამეწყვილენი გამოდგნენ.

შოთა რუსთაველი გენიალური „ვეფხისტყაოსანის“ დასაწყისშივე, უზენაესისადმი წარმოთქმული სადიდებელი სიტყვების შემდეგ ბრძანებს:

„ვის ჰშვენის, - ლომსა, - ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,

- მეფისა მზის თამარისა, ლაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა,-

მას არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა,

მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა“.

ავტორი ხოტბას ასხამს მზესავით უმშვენნიერეს თამარს და მის შუბითა და ფარ-ხმალით დამშვენებულ ლომს. ამ უკვდავი პოემის დასასრულში ლომი უკვე პირდაპირ დავითადაა მოხსენებული.

ასე რომ, ეჭვს გარეშეა „თამარის ლომი მისი მეუღლე დავითია“.

გიორგი რუსის საქართველოდან გაძევებისთანავე, თამარის ქმრობის მრავალი მსურველი გამოჩნდა ასპარეზზე. უფლისწულთა უმრავლესობა, ცხადია, ქრისტიანი იყო; თუმცა, კანდიდატ სასიძოთა შორის რამდენიმე, სხვა რელიგიური აღმსარებლობის მიმ-

დეკარიც ერია, რომლებმაც მიზნის მისაღწევად დათმეს საკუთარი ტრადიციული სარწმუნოება და ქრისტიანობა აღიარეს.

გავიხსენოთ თამარის მეუღლეობაზე მეოცნებე მუტაფრადინი, რომელმაც მშობლების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, უარყო მისთვის სათაყვანო მუჰამედის რჯული – მუსულმანობა და საკუთარი სასახლის კარის დიდებულებთან ერთად, უამრავი ძვირფასეულობით ჩამოვიდა საქართველოში სასურველი მეფე-ქალის ხელის სათხოვნელად.

სამეფო კარზე, თამარის ქმრობის მოსურნე მუტაფრადინი, ჩვენი ტრადიციისათვის შესაფერისი სტუმართმოყვარეობით მიუღიათ, არც დროსტარება დაუკლიათ დიდგვაროვანი უცხოტომელისათვის, საკმაოდ დიდი ხნითაც დაუტოვებიათ საქართველოში, მაგრამ უარით გაუსტუმრებიათ სამშობლოში, რადგან თამარის ტოლსწორად არ მიუჩნევიათ... თუმცა, მთლად „ხელმოცარული“ მაინც არ გაუშვიათ და გიორგი მესამის ხარჭასთან გაჩენილი არაკანონიერი შვილი „უბოძებიათ ძღვნად“ და ცოლად.

ასე რომ, მართალია, მუტაფრადინი თამარის ცოლობას ვერ ეღირსა, მაგრამ მისი ნახევარცოლისდობის დიდი პატივი ბედმა არგუნა და არც მთლად გაწბილებული გაბრუნებულა უკან, რადგან მისმა ქვეყანამ, ისეთ ძლიერ სახელმწიფოსთან, როგორც იმხანად საქართველო გახლდათ, მოყვრული ურთიერთობის დამყარება ნამდვილად მოახერხა.

მუტაფრადინის შემდეგ, ასევე უარით გაისტუმრეს საქართველოდან თამარის ქმრობის კიდევ მრავალი მსურველი, მათ შორის დიდებული აღსართან შირვან შაჰი და მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელმწიფო საბერძნეთის ბრწყინვალე მეფემანოელის ვაჟიც. მათ შესახებ, ზეპირსიტყვიერებამ დღევანდლამდე შემოგვინახა მრავალი ისტორია.

ღმერთის წყალობას არ დაუგვიანებია და ქორწინებიდან მალე, თამარ მეფე ფეხმძიმედ შეიქნა.

გაიხარა ქართველობამ.

ერი კიდევ უფრო განშირებულად და წრფელად ემადლიერებოდა უფალს, მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და ავედრებდა ყოვლადუზენაესს ქვეყნისათვის წულის მოვლენას.

ყოვლისმპყრობელმა უფალმა ისმინა ხალხის კეთილი ნდობა და თამარს ეყოლა ვაჟი „ყოვლითურთ მსგავსი პაპისა“. ახალშობილს გიორგი დაარქვეს. შემდგომ, ამ სახელს ლაშა (რაც განმანათებელს ნიშნავს) მიემატა და სწორედ აქედან წარმოსდგა ლაშა-გიორგი, იგივე გიორგი-ლაშა (იგივე გიორგი მეოთხე).

გავიდა ერთი წელი.

თამარმა მეორე შვილი, ახლა უკვე ასული შვა, რომელსაც ძვირფასი მამიდას სიყვარულით, რუსუდანი უწოდა სახელად.

თამარისა და დავითის ორივე შვილი, მომავალში საქართველოს მეფეებად მოევლინა.

თამარ მეფის პირველი ქმარი, რუსი მთავარი-გიორგი ბოგოლიუბსკი იოლად არ შერიგებია ბედს.

იგი 1191 წელს არზრუმში ჩავიდა და საქართველოში ჩამოსასვლელად შესაფერისი პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების მოლოდინში მყოფ, ჩასაფრებულ რამდენიმე დიდგვაროვანთან კავშირი დაამყარა. აღნიშნულ ჯგუფში განსაკუთრებით აქტიურობდნენ: კლარჯეთისა და შავშეთის მმართველი გუზან ტაოელი, სამცხის სპასალარი ბოცო და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი.

ეს უკანასკნელი მეფის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს მეთაურად მოეწვინა. მანვე მოახერხა თითქმის მთელი დასაღეთ საქართველოს (აფხაზეთის, სვანეთის, გურიის, რაჭის, არგვეთის) მცხოვრებთა აჯანყებულების მხარეზე გადასვლა და ისინი ურთიერთ ერთგულების ფიცითაც შეაკავშირა.

აჯანყებულებს მეფის მომხრეთა დასახმარებლად სურდათ, უსაზღვროდ განაწყენებული გიორგი რუსის გამოყენება, შემდგომ მისი იოლად მართვის იმედით. ფიცით გაერთიანებულმა აჯანყებულებმა, თავიდან, საქართველოს დიდი ტერიტორიის დაკავებაც კი შესძლეს და რუსი თავადი დასავლეთის მხარის მეფედ გამოაცხადეს გეგუთში. ამის შემდეგ, გაფიცულებმა გორამდეც მიადწიეს. მათ გადაწყვიტეს ჯავახეთისა და თრიალეთის აღება. ააოხრეს ოძრხე (ახლანდელი აბასთუმანი).

მოღალატეთა საბოლოო მიზანი თბილისში რამდენიმე მხრიდან ერთდროულად შემოჭრა იყო.

მეფე თამარს არ სურდა ქართველთა დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავება და ძმათა შორის

სისხლის ღვრის თავიდან ასაშორებლად, აჯანყებულებს მრავალჯერ მოუწოდა მოლაპარაკებისაკენ, თუმცა ამან სასიკეთო შედეგი მაინც ვერ გამოიღო.

მოწინააღმდეგეთა მხარე კვლავინდებურად ჯიუტობდა და აგრძელებდა აგრესიას.

ბუნებრივია, თამარს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა და ქვეყნის გადასარჩენად იძულებული გახდა თავისი უმთავრესი ლაშქრის სპასალარისათვის, უერთგულესი გამრეკელისათვის ებრძანებინა შესაბამისი ზომების მიღება.

მოლაღატეთა ჯგუფი ერთიანად განადგურებულ იქნა მტკვრის მიდამოებსა და ნიალის ველზე. დამარცხებულთაგან ზოგმა გაქცევით გადაირჩინა თავი, ზოგმაც პატიება სთხოვა მეფეს. თამარმა აჯანყებულთა ნაწილი (დიდგვაროვნები) შეიწყალა, ზოგს თანამდებობა დაატოვებინა, ხოლო შეპყრობილი რუსი თავადი გიორგი კი, საქართველოდან მეორედ გააძევა.

ისტორიკოს-მკვლევართა უმეტესობის აზრით, დამარცხებულები საკადრისად, დამსახურებული სიმკაცრით ნამდვილად არ დასჯილან, მაგრამ მიღწეულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი რამ, ახლა უკვე მაღალი სახელმწიფო სამოხელო თანამდებობები, მთლიანად დაიკავეს სამეფო კარისა და თამარ მეფის მომხრე ღიდებულებმა.

გავიდა ორი წელი და დადგა 1193 წელი.

თამარის ქმარყოფილმა, რუსმა გიორგიმ კიდევ წამოყო თავი, ისევ სცადა ბედი და საქართველოსაგან განდგომილი ქალაქ განძის ათაბაგის ღიდ ჯარით,

ქიზიყიდან (იმდროინდელი კამბეჩოვანიდან) შემოიჭრა. თუმცა, თამარის ერთგულმა ხორნაბუჯის მმართველმა, - საღირ მახატლის ძემ, საკმაოდ იოლად დაამარცხა მომხვედური, უკუაქცია ის და კიდევ ერთხელ დაამტკიცა საქართველოსადმი კეთილგანწყობა.

მეთორმეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ქვეყანაში შინაური ვითარება დამშვიდდა. მომდევნო ორიოდე წლის განმავლობაში საქართველომ დაიმორჩილა განდგომილი ქალაქები: კარნუ, ბარდავი, განბა და უამრავი სიმდიდრეც მოიპოვა.

ყოველივე ამას, ქართული სახელმწიფოს ავტორიტეტის განსაკუთრებული ზრდა მოჰყვა, რასაც ვერ შეეგუა მეზობელი თურქეთი, რომელმაც გადაწყვიტა გაძლიერებული კოალიციური ლაშქრობა საქართველოზე.

მტრის მთავარი მიზანი ჩვენს მიერ მიერთებული ტერიტორიების ართმევა იყო.

კოალიციაში შევიდნენ: ერაყის, თურქეთის და ირანის ადარბადაგანის (დღევანდელი აზერბაიჯანის) სახელმწიფოები. თავდაპირველად, გაერთიანებულმა ლაშქარმა სპარსეთის ადარბადაგანის ათაბაგის, - აბუბექრის წინამძღოლობით, საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნის – შარვანის დაპყრობა გადაწყვიტა.

აბუბექრმა აღსართან შარვან-შაჰი შარვანიდან გააძევა.

ყმადნაფიცმა აღსართანმა (ეს სწორედ ის დიდებული აღსართანია, რომელიც საქართველოში აღრე, თამარის ცოლად შერთვის თხოვნით წარუდგა

სამეფო კარს, თუმცა ბედმა არ გაუძარტლა, ოცნება ვერ აისრულა და ხასიათწამხდარი გაბრუნდა სამშობლოში) დასახმარებლად თამარ მეფეს მიმართა.

თამარმა თანადგომა აღუთქვა ღირსეულ პიროვნებას, ათ დღეში მოახდინა კიდევ ჯარის სრული მობილიზება, რომელსაც წინამძღოლად დავით სოსლანი დაუყენა და საბრძოლველად გზა დაულოცა, თვითონ კი თბილისში დაბრუნდა და სამშობლოს გადასარჩენად ღმერთისადმი აღვლენილ განუწყვეტელ მხურვალე ლოცვებში აღამებ-ათენებდა.

1195 წლის 16 ივნისს, ციხე-ქალაქ შამქორთან გამართულ ომში ჩვენმა ჯარმა სახელოვანი დავით სოსლანის გონივრული სარდლობით, სასტიკი მარცხი აგემა მტერს.

ათაბაგმა გაქცევით გადაირჩინა თავი.

ქართველთა ლაშქარს დიდძალი ავლა-დიდება ჩაუვარდა ხელთ (თორმეტი ათასი ტყვე-მეომარი, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჯორი, თხუთმეტი ათასი აქლემი და კიდევ სხვა მრავალი), რომელიც თამარ მეფემ ერთგულებისათვის მთლიანად უბოძა ყმადნაფიცებს.

უცნობი ავტორი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ წიგნში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი“) წერს, რომ შამქორის უმნიშვნელოვანეს ომში წარმატებით უსაზღვროდ გახარებულ თამარს პოეტური ნიჭი გაღვიძებია და ცხოვრებაში პირველად, დაუწერია „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად“,

რომელიც იმ ისტორიული გამარჯვებისათვის მი-  
უძღვნია.

აქვე, გთავაზობთ იამბიკოს (თეთრი ურითმო  
ლექსი) ტექსტს:

„ცასა ცათასა დამწყებ არს ღმერთ-მთავრობა,  
ძე საუკუნობს პირველი და კუალადი.  
სულმან მან ღმერთმან სრულ ყო მოქმედებადი,  
სამებით სრულმან ერთითა ღმრთაებითა,  
მიწით პირველის, პირმშოისა კაცისა.  
შენ მიერ მისთვის ღრკურა მის განმგებელი  
ღრკუი მიდრკა უვნებელი ვნებისადმი,  
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ყო.  
შენგან შობილმან ჩუენ ღირს-გუყვანა

აღმოშობად

ბნელით ნათელსა, ნათელთა მხედველობად.  
შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით  
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად.  
ძე თამარ, მიწა შენი და მიერივე,  
ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა.  
ედემს, ლათირთად, სამხრით და ჩრდილოეთით  
შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ,  
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა  
შეერთე, ცრუ-სჯულთა მოძღურისა

ღაზოდ მძღუანი,

ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,  
მოირთხნა, მოისრნა სულტნითა, ათაბავით.  
ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა  
ჩუენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო,



მოწყლნეს, მოსწყვიდნეს აგარის ნათესავნი.  
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას  
შენდა შევწირავ! მიოხე ძეებრ, ღმერთო“.

უცნობი ავტორისვე გადმოცემით, „თამარი მსგავსად პაპისა მათისა იქცევა“ და იხსენებს დიდ მეფე ღავით აღმაშენებელს, რომელმაც დიდგორის ბრწყინვალე ომში, მტრისათვის წართმეული უძვირფასესი თვლებით გაწყობილი ოქროს ყელსაბამი ხახულის წმინდა მონასტერს ღვთისმშობლის ხატის შესამკობელად უბოძა. და აი, მსგავსად მოიქცა თამარიც, როცა შამქორის ომში მოხვეჭილი უამრავი ნადავლიდან, ყველაზე ძვირფასად, გმირი შალვა ახალციხელის მიერ მოპოვებული, ბრძოლაში განადგურებული ხალიფას სახელმწიფო დროშა მიიჩნია და ეს, საქართველოს ძლიერების ნიშნად, სწორედ იმავე მონასტერს შესწირა.

შამქორის დიდმა ომმა ცხადჰყო, რომ საქართველოს სამხედრო ძალა მნიშვნელონად აღემატებოდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისას. გადიოდა დრო და ეს განსხვავება კიდევ უფრო მეტად იზრდებოდა.

შამქორის უბრწყინვალეს გამარჯვებას ზედიზედ მოჰყვა გელაქუნის (დღევანდელი სევანის ტბის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ამჟამად სომხეთის კუთვნილებაა), არარატის დაბლობის სომხური თემებისა და მდინარე ჭოროხის ზემო მხარის თემების დამორჩილება საქართველოსადმი.

1203 წელს ქართველებმა შაჰ-არმენთა სამფლობელოდ წოდებული ტერიტორიებიც დაიკავეს.

ამ სინამდვილეთა საღად აღმქმელი და გონივრულად მოაზროვნე თურქ მმართველთა უმეტესი ნაწილი, მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად, ყოველწლიურად ისევ ხარკის გაღებასა და საქართველოს ყმადნაფიცობის ქვეშ ყოფნას ამჯობინებდა.

ჯარის ასეთ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებებზე საუბრისას, ვფიქრობ აუცილებელია, მოკლედ მაინც ითქვას თამარის მიერ, პირველად ქვეყნის სამხედრო სფეროში დაფუძნებულ ეგრეთწოდებულ „მონაპირეთა“ სისტემაზე, რომელიც დღევანდელი საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახურის შესატყვისია.

მონაპირე ფაქტიურად ერისთავი იყო, ოღონდ სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში. მას ევალებოდა მტრულად განწყობილი, მიმდებარე მეზობელი ქვეყნის ახლოს მდებარე სამხედრო პოტენციალის ზუსტი დადგენა.

მონაპირეს განკარგულებაში ჰქონდა სათანადო სამხედრო აღჭურვილობა საჭირო ცოცხალი ძალით, თავის დასაცავად და ბუნებრივია, საპასუხო დარტყმის განსახორციელებლადაც.

მტრის საომარი მოქმედების შემთხვევაში, მონაპირე ვალდებული იყო სამეფო კარისათვის დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობებინა საშიშროების დონის შესახებ. ამის შემდეგ, სამეფო კარი მოახდენდა სათანადო მობილიზაციას ვითარების შესატყვისად და შეყრიდა სრულ ლაშქარს, ან მეომართა საჭირო

რაოდენობას და მის ხელმძღვანელობას დაავალბდა: მეფეს, ამირსპასალარს და თუნდაც იმავე მონაპირეს და მიანდობდა საქმის მოგვარებას.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ჩვენი ლაშქრის მთლიან მობილიზებასა და საომარ მდგომარეობაში მოყვანას, სულ რაღაც ათი დღე საკვებით ჰყოფნიდა თურმე.

მეთორმეტე საუკუნის ბოლო წლებში, საქართველოს სამეფო კარს, მუდმივად საომრად შემართული თურქი დამპყრობლებისაკენ მიმართული ჰქონია ათამდე სანაპირო, სადაც თამარ მეფეს მონაპირობა დაუკისრებია ვაჟკაცობითა და ერთგულებით გამორჩეული ისეთი დიდი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეებისათვის, როგორებიც ბრძანდებოდნენ: გრიგოლისძენი და მახტლისძენი – ჰერეთსა და კამბეჩოვანში, ზაქარია – გაგის მხარეში, ზაქარია და ივანე მხარგრძელები – ტაშირ-ზორაკერტში, სარგის თმოგველი და შალვა თორელი-ჯავახეთში, ყვარყვარე სამცხის სპასალარი-ჯაყელი – არტაანში, ზაქარია ასპანისძე – ფანასკერტში“.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისში, თამარის ინიციატივით, მეფის კარზე გაჩნდა მოსაზრება შავი ზღვის სამხრეთ ნაწილის ტერიტორიაზე ქრისტიანული სამეფოს შექმნის თაობაზე იმ მიზნით, რომ ახალ სახელმწიფოს მხარი დაეჭირა თურქეთის წინააღმდეგ მომავალში მოსალოდნელ ომებში.

იმხანად, ბიზანტია საკმაოდ შევიწროებულ მდგომარეობაში იყო, რადგან კეისრის ტახტის დაპყ-

რობით დაინტერესებულ თურქებს, დასავლეთევროპელი „ჯვაროსნების“ მიერ, საკეისროს მითვისების განზრახვაც დაემატა.

მალე, თამარი იძულებული გახდა ქვეყნის ჯარის სამხედრო მოქმედებები მნიშვნელოვნად მოშორებულ ტერიტორიებზე გადაეტანა.

იმ პერიოდში, საზღვარგარეთიდან ჩამობრძანებულ ქართული სავანების მოღვაწეებს, თამარმა უზარმაზარი ქონებრივი შეწირულობა უძღვნა. თუმცა, ბიზანტიის კეისარმა უკან მობრუნებულ ქართველ მღვდელმსახურებს, ბოძებული სიმდიდრე წაართვა და პირადად მიისაკუთრა.

იმ უღირსი მოქმედების გამო, თავმოყვარეობაშელახულმა ქართველთა მეფემ ქართული მხედრობა ბიზანტიის სწორედ იმ მხარეში შეიყვანა, რომელიც საქართველოს ესაზღვრებოდა და, სადაც მონათესავე ქართული ტომები – ლაზები (იგივე ჭანები) ცხოვრობდნენ.

აღნიშნული ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა დაიკავა: ლაზეთი, ტრაპიზონი, სინოპი, კერასუნტი, სამსონი, კოტიორა და თითქმის ერაკლიამდე მიაღწია. იმ დროისათვის ბიზანტიის იმპერია უძძიმეს მდგომარეობაში იყო, ვინაიდან კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებს ეპყრათ.

საკუთარი ქვეყნის გასაძლიერებლად, სწორედ იმ სიტუაციით ისარგებლა ბრძენმა თამარმა, ბიზანტიას მოსწყვიტა დაკავებული ქალაქები და ახალი ყმადნაფიცე ქვეყანა-ტრაპიზონის საკეისრო შექმნა,

რომლის მმართველად ახლო ნათესავი და ბიზანტიის ტახტის მადიებელი, საქართველოს სამეფო კარზე აღზრდილი ბერძენი უფლისწული – ალექსი კომნენოსი დანიშნა.

წმინდა მეფემ ტრაპიზონის „იმპერიის“ შექმნით, საიმედოდ გააძლიერა ჩვენი სამშობლოს საზღვრები და რაც უმთავრესია, მოახერხა საქართველოს პოლიტიკური გავლენის საოცარ ნიშნულთან გათანაბრება.

ამგვარად, ჩვენს მეზობლად, თამარ მეფემ ღვთიებობებული სიბრძნის საფუძველზე, ქართველებით დასახლებული და პოლიტიკურად საქართველოზე დამოკიდებული ტრაპიზონის სამეფო შექმნა.

საქართველოს ძლევამოსილება მთელი ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებისათვის ნათელი გახდა, განსაკუთრებით კი, იმ უმაგალითო წარმატებებმა დასავლეთის თურქთა სამყარო დაადარდინა.

მცირე აზიაში, მაშინ ყველაზე ძლიერ და ანგარიშგასაწევ ძალად რუმის სასულთნო ითვლებოდა (დღევანდელი თურქეთის საზღვრებში მდებარეობდა). მისმა სულთანმა-რუქნადინმა ადრეულ პერიოდში ადარბადაგანის ათაბაგ აბუბექრის მსგავსად, საქართველოს წინააღმდეგ თურქთა გაერთიანებული ლაშქრობის გადაწყვეტილება მიიღო.

რუქნადინმა ყველა მიმდებარე მაჰმადიანური სახელმწიფოს თავკაცებთან მოლაპარაკების შემდეგ, ოთხასიათასიანი ჯარის შეგროვება შესძლო და ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად გამოემართა.

მწარედ მოტყუვდა გათავზედებული ბრიყვი რუქნადინი, სწორად ვერ შეაფასა საქართველოს სიძლიერე და ვერც მისი უდიდესი მეფის ზეადამიანური გონიერება გაითვალისწინა. ღიახაც, ამიტომ სამარცხვინოდ დაისაჯა კიდეც ყოვლადუზენაესი ჭეშმარიტი განგების მიერ...

არზრუმიდან რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰმა თავისი ელჩის მეშვეობით, ამპარტავნული შინაარსის ბარათი გამოუგზავნა ჩვენს საამაყო თამარ მეფეს, რომლითაც აბუჩად იგდებდა ყველა ქალს, თვითონ რეგვენი, რეგვენს უწოდებდა, მუსლიმანთა ამოჟლეტვასა და დახარკვაში ადანაშაულებდა და თავისთავს უძლეველს უტოლებდა („მე ნუქარდინ, სულთანი ყოვლისა ცისა-ქუეშისა უმაღლესი, მიმსგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი ღმერთისა, მოვლინებული დიდისა მოჰამედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველსა თამარს.

ყოველი დიაცი რეგუენია და შენ გიბრძანებია ქართველად აღებად ზრმალთა და ღმერთისაგან საყუარელისა ისლემთა ერისა დახოცად მუსულმანთა...“).

გონებადაბინდული სულთანი ვითომდა კეთილმოსურნედ, ფაქტიურად კი მუქარით უთვლიდა თამარს და ჰპირდებოდა, რომ გამოასწორებდა მას ერთან ერთად და აღარასოდეს დასჭირდებოდა ხმლის ხელში აღება, ოღონდ საერთო ენა გამოენახათ, ქართველობას ეღიარებინა მოჰამედ მოციქულის მოძღვრება, უარეყო ქრისტიანობა და მის თვალწინ,

კარავთან დაელეწათ ქრისტეს ჯვარი. მოკლედ, ქართველებისგან მართლმადიდებლობის უარყოფას და მორჩილებას მოითხოვდა სულელი რუქნადინი.

ასეთი უტიფარი წერილის გამოგზავნის გარდა, რუქნადინმა სიტყვიერად გადმოსაცემიც დაავალა თურმე ელჩს; აი, ისიც:

„უკეთუ მეფემან დაუტეოს რჯული, იპყრის სულთანმა ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულთანისა“.

იმ საცოდავ ელჩს სათქმელი წესიერად დასრულებულიც არ ჰქონია, რომ ჭეშმარიტ მამულიშვილს, ზაქარია მხარგრძელს ისე გაურტყამს მისთვის, „რომ გონდაკარგული იქვე დაცემულა“.

უჭკუო სულთანის მოქმედებით ისარგებლა საქართველოს სამეფო კარმა, პასუხი შეგნებულად დაუგვიანა და ვიდრე რუქნადინის ელჩი მეფის რეზიდენციაში იმყოფებოდა, ლაშქრის საომრად შეკრება მოასწრო.

ქართველთა ჯარი დაიძრა ბასიანისაკენ.

სულთანი სწორედ იქ დაბანაკებულიყო და თამარ მეფისაგან, მისთვის სასურველი პასუხის მიტანას ელოდა ელჩის მიერ.

თამარმა ქართველთა ლაშქრის საერთო ხელმძღვანელობის ნიშნად, თავის მეუღლეს, - სახელოვან დავით სოსლანს უბოძა ქვეყნის დროშა, ხოლო მხედართმთავრებად განამწესა: ზაქარია მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელები და თორელები.

თამარ მეფემ ფეხშიშველმა გააცილა ჯარი დიდ მანძილზე.

მეფემ სამგზის დალოცა საკუთარი ჯარი და უახლოეს ადამიანებთან ერთად, მესხეთში დაბრუნებულმა ოძრხეს (დღევანდელი აბასთუმანი) მიაშურა, სადაც უფლისადმი, ღვთისმშობელ მარიამისადმი და ყველა წმინდანისადმი განუწყვეტელ ლოცვა-ვედრებას შეუდგა.

სულთანის ელჩი და მასთან ერთად ქართველი მოციქულიც, საპასუხო წერილით ზუსტად მაშინ გააგზავნეს, როდესაც ჩვენი ლაშქარი მიუახლოვდა მტრის ურიცხვ მეომართა ბანაკს.

თამარის მიერ გაგზავნილი ბარათი რუქნადინმა გულდასმით ჩაიკითხა. აი, მისი ძირითადი შინაარსი:

- ყოვლისმპყრობელი ღმერთის ძალას მინდობილმა და მარადქალწული მარიამის მევედრებელმა, პატიოსანი ჯვრის პატივისმცემელმა და მოიმედემ, წავიკითხე რუქნადინ, მამაზეციერის განმარისხებელი შენი მოწერილი, კარგად შევიცან არამართებულობა შენი, რომელთა განმკითხავი თვით უფალი ბრძანდება. ვერ შეგიგნია, რომ ღვთის სახელის ცრულ დამფიცველი, სწორედ მის მიერვე დაისჯება და კიდევ ის, რომ ღმერთის სამსჯავროს უცოდინარს, სიმდიდრისა და ჯარის სიძლიერის იმედი გქონია. ჩვენ, ქართველებს კი, მხოლოდ უზენაესისა და ქრისტეს ჯვრის იმედი გვაქვს. სწორედ იმ ჯვრისა, რომელსაც რუქნადინ, პირადად შენ და შენიანები ჰგმობთ და პატივს არ სცემთ, ამიტომ დიდი დღე არ გიწერია და



დარწმუნებული იყავი იმაში, რომ სასტიკად განადგურდები...

ყველაფერი ზედმიწევნით ისე აღსრულდა, როგორც თამარმა უწინასწარმეტყველა მუსლიმანთა თავკაცს.

ქართველებმა სასტიკად გაანადგურეს მომხვლური ბოროტი ძალა, რომლის მთავარსარდალმა, ყოფილი რუქნადინმა ბრძოლის ველიდან სამარცხვინო გაქცევით უშველა თავს და თავგზაბნეულმა დროშის წაღებაც კი ვეღარ მოასწრო.

სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენებურებმა. მათ რუქნადინის მოკავშირე სულთნებიც დაატყვევეს. ერთ-ერთ მათგანს, შეპყრობილ ერზინკის სულთანს, თამარ მეფემ დამსახურებულად გამოუტანა საოცრად დამამცირებელი სასჯელი: მონად გაყიდა და აღებული მცირე თანხით, ჯორის ორი ნალი შეიძინა.

საქართველოს ჯარმა მოწინააღმდეგის მთელი ქონება და ათასობით ტყვე იგდო ხელთ.

კოალიციური ლაშქარი განადგურდა.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლურ ქვეყნებში პოპულარული „კარაბადინი“, სწორედ მაშინ გახდა ხელმისაწვდომი ჩვენი წინაპრებისათვის.

ეს უძველესი წიგნი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის განკარგულებით სასწრაფოდ ითარგმნა ქართულ ენაზე.

ბასიანის ომში მრავალმა მამულიშვილმა ისახელა თავი. მათ შორის განსაკუთრებულად კი, - დავით სოსლანმა და ზაქარია მხარგრძელმა.

თამარ მეფე გამარჯვებულ ჯარს ვარძიაში შეხვდა.

საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ერმა ბასიანის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად უდიდესი ზეიმი გამართა.

1205 წელს ბასიანის ომში გამარჯვებამ ჩვენი ქვეყანა ახლო აზიის, ანუ მთლიანად უახლოესი აღმოსავლეთის მძლავრ სახელმწიფოდ წარმოაჩინა.

თამარმა სახელოვან დავით სოსლანთან ერთად, ზედიზედ ორჯერ (1195 და 1205 წლებში) მოახერხა მუსლიმანური სახელმწიფოების კოალიციური ლაშქრობების არამართო მოგერიება, არამედ თურქთა ორი ყველაზე ძლიერი სასულთნოს სრული განადგურება.

ახლა უკვე პალესტინაში თურქების გავლენის ქვეშ მყოფი ჯვაროსნებიც კი, იმედის თვალით შეჰყურებდნენ საქართველოს და მისგან შველას ითხოვდნენ, ხოლო ჩვენს ტერიტორიებთან არსებული მეზობელი თურქული სამთავროები, ერთმანეთის მიყოლებით თამარ მეფის მონარკე-ყმადნაფიცები ხდებოდნენ (მაგალითად: არზრუმის საამირო, ერზინკის სასულთნო, არჭეში...).

იდგა საქართველოსათვის უდიდესი ტკივილის მომტანი 1207 წელი.

გარდაიცვალა შვიდმნათობიერ თამარ დედოფლის ღირსეული მეუღლე და თანამებრძოლი – დიდი დავით სოსლანი, – საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული რაინდი კაცი.

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ წიგნში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანი“), მეისტორიე გულისტკივილით წერს საქართველოს საყვარელი შვილის გარდაცვალებაზე და ამბობს რომ, იმდროინდელი თვალსაჩინო წინსვლით ქვეყანაში დამკვიდრებულ „ესრეთ სიხარულსა შეუთქს მწუხარება“, ანუ ბუნებაში გამეფებული კანონზომიერებით, ისეთი დიდი აღზევება, აუცილებლად შეიცვლებოდა უმძიმესი წუხილით. ასეც მოხდა, „რამეთუ მიიცვალა სოსლან დავით, კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა“, შესახედავდაც დიდებული, ღვთისა და ადამიანის მოყვარული, უნიჭიერესი მხედართმთავარი, სამაგალითო მეომარი და იმავდროულად თავმდაბალი პიროვნება; მან ქვეყანას „დაუტყვნა ორნი ძენი: ყრმა ვიდრემე ლაშა-გიორგი, ხოლო ასული რუსუდან“, და კიდევ, - დაუვიწყარი სახელი, რომელიც ღირსეულად დამკვიდრდა ჩვენი სამშობლოს ყველაზე ძვირფას ადამიანთა ჩამონათვალში.

მთელი ერი ცრემლთაღვრით სწუხდა უსაყვარლესი პიროვნების ამ წუთისოფლიდან ნაადრევად გასვლას.

დავით სოსლანი დიდი პატივისცემით დაკრძალეს გელათში.

უერთგულესი თანამეცხედრის დაღუპვიდან მოკლე ხანში, თამარმა საქართველოს ტახტის თანამოზიარედ, უფროსი შვილი, გიორგი-ლაშა აკურთხა.

1208 წელს მაცხოვრის აღდგომის უბრწყინვალეს დღესასწაულზე, არდაველის გათავხედებულმა

სულთანმა ისარგებლა და გამთენიისას, ქალაქ ანისის გაღებული კარიბჭით შეესია იქაურობას, სასტიკად მოეპყრა მოზეიმე მოსახლეობას, ხოლო ეკლესიებში მლოცველები უმოწყალოდ ამოხოცა, შემდეგ კი უკან გაბრუნდა.

გამხეცებულმა სულთანმა ქრისტიანების უმთავრესი რელიგიური დღესასწაულის დღეს დაახლოებით თორმეტი ათასი სრულიად უდანაშაულო ქართველი და სომეხი ეროვნების მართლმადიდებელი ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს.

ასეთი ბოროტების საბაბი კი მხოლოდ ის იყო, რომ ხალხმა საკუთარი სარწმუნოებისადმი სიყვარული და იესო ქრისტეს ერთგულება ტრადიციისამებრ სათანადოდ აღნიშნა.

ბუნებრივია, იმ ამაზრზენ მოქმედებას მაშინდელი ძლიერების მქონე საქართველო იოლად არავის შეარჩენდა და საკადრისად მიუზღავდა. თამარ მეფემ, უმაღვე მიიღო აუცილებელი და ღირსეული გადაწყვეტილება უსინდისო სულთანის ჭკუის სასწავლებლად და ერის თავმოყვარეობის სასწრაფოდ აღსადგენად სადამსჯელო ჯარი, სწორედაც მუსლიმანური დიდი დღესასწაულის – რამაზანის მარხვისას გააგზავნა არდაველს.

ქართველთა ჯარი, რომელსაც სახელოვანი ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი სარდლობდა არდაველში შეიჭრა, აიღო ქალაქი და სასტიკად ააოხრა, ხოლო მისი არაკაცი სულთანი იოლად შეიპყრო და უღირსი საქციელისათვის სიკვდილით და-

საჯა; გარდა ამისა, ამოწვევითა ზუსტად იმდენი მუს-  
ლიმანი, რამდენი ქრისტიანიც უსამართლოდ მოკლეს  
ანისში აღდგომის დღესასწაულზე.

ლაშქრობამ აშკარად გამოავლინა სპარსეთის  
სახელმწიფოზე საქართველოს სამხედრო პოტენციალ-  
ის უდიდესი უპირატესობა. სწორედ ამიტომ, თამარ  
მეფემ დარბაზთან შეთანხმებით, სპარსეთის საბო-  
ლოდ ჭკუის სწავლების მტკიცე გადაწყვეტილება  
მიიღო. დაიწყო მზადება ლაშქრობისათვის, რომელიც  
თამარის წინამძღოლობით გამართულ ბრძოლათა შო-  
რის დიდი მასშტაბის უკანასკნელ ომდაა აღიარებუ-  
ლი.

1210 წელია.

ბრძოლისათვის ყოველმხრივ შემართული ქარ-  
თული ჯარი ირანის ტერიტორიაზეა. ქართველები  
საკმაოდ იოლად იპყრობენ და ხარკს აკისრებენ:

- მასანდას, ზენჯანს, თავრიზს, ყაზვინს და მი-  
ანას.

ჩვენი ჯარისათვის მცირე წინააღმდეგობის  
გაწევა მხოლოდ ქალაქ ზენჯანში ბრძოლისას მოახ-  
ერხეს ირანელებმა.

ძლევაძმოსილმა ჩვენმა ლაშქარმა თამარის მე-  
თაურობით, იმ სახელოვან ომებში იმდენი ნადავლი  
იგდო ხელში, რომ ირანის დანარჩენი ტერიტორიების  
უბრალოდ გავლაც კი შეუძლებელი გახდა.

უკან მობრუნებულმა ქართველებმა საკადრისად  
დასაჯეს მიანას გამგებელი, რომელმაც იქ მცველად

დარჩენილი ჩვენი მცირე რაზმის ყველა მეომარი ვერაგულად სიცოცხლეს გამოასალმა.

ქართველთა წარმატებულმა ლაშქრობამ სპარსეთში, კიდევ უფრო მეტად აამაღლა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. საქართველო ახლა უკვე, აშკარად მოიაზრებოდა ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ, ხოლო მისი სამეფო ხელისუფლება, ალექსანდრე მაკედონელისა და კეისარ ავგუსტუსის აღსრულებულ საქმეთა ისტორიულ შთამომავლად ფასდებოდა.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს სამეფო დროშაზე „გორგასლიანისა“ და „დავითაინის“ გვერდით, „თამარიანი“, „ალექსანდრიანი“ და „ავღუსტიანიც“ გამოჩნდა.

მაღე, თამარ მეფემ ახლო, საჭირო და საოცრად თბილი ურთიერთობა დაამყარა ეგვიპტელ მოქცევსულ სალადინთან. იქიდან მოყოლებული, მუსულმანებს საკმაო ხნის მანძილზე მკაცრად აკრძალათ ქრისტიანთა მიმართ უდიერი მოპყრობა, ხოლო ქართველებს ნება მიეცათ წმინდა ქალაქ იერუსალიმში ყოველგვარი გადასახდელის გარეშე შესულიყვნენ საკუთარი დროშით.

იესო ქრისტეს უსაზღვროდ მოყვარულმა და ერთგულმა ჩვენმა დიდებულმა დედოფალმა, სალადინს სთხოვა მართლმადიდებლებისათვის კუთვნილებისამებრ, დაებრუნებინათ ჯვარი, რომელზედაც ეწამა კაცობრიობის მხსნელი მაცხოვარი.

ორასი ათასი დინარის საფასურად, სულთანმა ეს სურვილი შეუსრულა საქართველოს დიდ მეფეს.

თამარ მეფემ უდიდესი ღვაწლით შესძლო გაელრმაკვებინა ჩვენს სამშობლოსა და უწმინდეს იერუსალიმს შორის დამყარებული ის კავშირები, რომელიც მისი უბრწყინვალესი წინაპრისა და სისხლხორცეული ნათესავის, დიდი დავით აღმაშენებლის (საქართველოს მეფეთ-მეფედ წოდებული, ერის საფიცარი სულმნათი დავით აღმაშენებელი თამარის მამის, დიდი მეფის, - გიორგი მესამეს ბაბუა ბრძანდებოდა) მეფობისას არსებობდა.

აქ, უნებურად მახსენდება მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში წმინდა ქალაქ იერუსალიმში მოღვაწე, სამი დიდი წმინდანი: იოანე, სტეფანე და ესაია, რომლებიც იმავდროულად, მაცხოვრის საფლავის მცველებიც იყვნენ. ცხადია, ასეთი მაღალი ნდობის მოპოვება უფლის მიერ რჩეულთა შორის ყველაზე ღირსეული ერისა და ასეთივე დიდებით აღვსილი მისი წინამძღოლის უდიდესი აღიარება იყო.

ღიან, ქართველები ვამაყობთ ჩვენი უდიდესი წარსულით და წმინდანთა დასში მართლად შერაცხული იოანეს, სტეფანესა და ესაიას (ქართული სამოციქულო დედაეკლესია მრავალრიცხოვან წმინდანთა შორის მართლის წოდებით მოიხსენიებს ოთხ დიდ წმინდანს: იოანეს, სტეფანეს, ესაიას და საქართველოს უგვირგვინო მეფეს და ერის მამად მონათლულ, უდიდეს მწერალს, საზოგადო მოღვაწესა და ბრძენკაცს –

ილია ჭავჭავაძეს) ღვთივბოძებული მადლით გასხვიოსნებული სახეებით.

სპარსეთში სახელოვანი ლაშქრობიდან დაბრუნებისთანავე, გარდაიცვალა ქართული ჯარის ღირსეული ამირსპასალარი – ზაქარია მხარგრძელი, ბრწყინვალე მამულიშვილი, რომელიც თანამდებობრივად მისმა ძმამ, – ივანემ შეცვალა.

ივანე ათაბაგი ჭეშმარიტად საკადრისი მემკვიდრე აღმოჩნდა. ის მრავალი წლის მანძილზე ერთგულად ემსახურა სამშობლოს.

1212 წელს სწორედ ივანე ათაბაგმა მოახერხა საქართველოს სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მიმართული მთიელთა აჯანყების ჩახშობა.

აჯანყებაში მონაწილე მთიელი ფხოველები და დიდოელები პროტესტს აცხადებდნენ ქვეყნის ბარში დაკანონებული იდეოლოგიური და პოლიტიკური მექანიზმის მთაში დამკვიდრებაზე.

სამ თვეს გაგრძელებული აჯანყება, საბოლოოდ კანონზომიერად დასრულდა მთიელ ქართველთა მარცხით.

თქმა არ უნდა, ქვეყნისათვის ზუსტად ასეთი შედეგი იყო სასურველი.

იმ მოვლენებიდან ძალიან მალე, 1213 წელს ჩვენს სამშობლოს ენით აუწერელი უბედურება დაატყდა თავს, - თამარი გარდაიცვალა.

როგორც სჩანს, ცხოვრების განუსაზღვრელად მძიმე ტვირთმა და განცდებმა, ახალგაზრდა ასაკში შეულახა ჯანმრთელობა ჩვენს თამარ მეფეს. ის კარგა



ხნის მანძილზე დიდსულოვნად თავს ძალას ატანდა და არ ამხელდა ავადმყოფობას, რადგან ერიდებოდა სხვათა შეწუხებას.

როცა მეტისმეტად ფესვები გაიღვა და იმძლავრა სენმა, შეუძლებელი შეიქნა მისი დაფარვა, თამარმა მხოლოდ მაშინ აღიარა ყოველივე.

იმხანად, ნაჭარმაგევის სამეფო რეზიდენციაში მყოფი თამარი სასწრაფოდ თბილისში ჩამოიყვანეს და დედაქალაქის სიახლოვეს, ხეებით დაბურული, სიწყნარით გამორჩეული ადგილი შეურჩიეს სამკურნალოდ სოფელ ტაბახმელაში.

მთელი საქართველო განურჩევლად ეროვნებისა, გულმხურვალედ შესთხოვდა უზუნაესს მეფის გამოჯანმრთელებას. ავადმყოფობას ისე დაერია თავისი მზაკვარი ხელი წმინდა სხეულისათვის, რომ ყველა საშუალება დაგვიანებული აღმოჩნდა.

ქრისტეანობისა და სამშობლოსათვის ცვილივით ჩამოღვენთილმა დიდმა თამარმა, ამ წუთისოფლიდან გასვლის ბოლოჟამს, ზეციურ დასში დამკვიდრებამდე, უპირველესყოვლისა ყოვლადწმინდა სამებას საქართველო და მისი ხალხი შეავედრა, მერე შვილები, ბოლოს კი – საკუთარი სული და „მშვიდობით დაიძინა სარეცელსა ზედა“.

დაახლოებით სამი ათეული წელი იმეფა თამარმა „და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა იგი მკვიდრობენ წინასწარმეტყველნი და მამათ-მთავარნი და მეფენი“.

გლოვამ მოიცვა სრულიად საქართველო.

არავინ სჩანდა ნუგეშის მცემელი, რადგან „მწუნხარება ზოგადი იყო ყოველთათვის“.

ქვეყანამ დაკარგა უსაყვარლესი მეფეთ-მეფე, უდიდესი ქრისტიანი და ერისათვის თავდადებული პიროვნება. უსაზღვროდ დამწუნხრებული ხალხი დასტიროდა უძვირფასეს შვილსა და წინამძღოლს.

გულწრფელად მჯერა, ამ წუთისოფლიდან გასვლისას წარმოთქმული მისი ლოცვა დღესაც გრძელდება, ოღონდ ახლა უკვე, ზეციური საქართველოდან და სწორედაც რომ, გვიფარავს ყველა განსაცდელისაგან და ძალას გვმატებს ქართველთ!..

ვმადლობთ ყოვლადწმინდა სამებას იმისათვის, რომ ერს სამარდჟამოდ უბოძა განუმეორებელი თამარ მეფე. ამინ!..

თამარი ორმოცდახუთი წლის ასაკში გარდაიცვალა.

სავარაუდოდ, დაკრძალულია გელათში. თუმცა, ზეპირსიტყვიერებით შემონახულია ლეგენდისეული ვერსია იმის თაობაზე, რომ ანდერძის თანახმად, ლაშა-გიორგის წმინდა ქალაქ იერუსალიმში გადაუსვენებია საქართველოს დედად წოდებული ჩვენი თამარ მეფე.

განუზომელია ერის ტკივილი იმის გამო, რომ დღემდე ვერ მოხერხდა სათაყვანო წმინდა მეფის საბოლოო განსასვენებელი ადგილის დადგენა.

ბრძენსა და გულმოწყალე თამარს ადამიანის სიკვდილით დასჯის და წამების კანონი გაუუქმებია და დარბაზთან შეთანხმებით, 1179 წელს შემოუღია კანონი მეკობრეობის წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებდა დანაშაულში გამოვლენილთა „ძელსა ზედა ჩამორჩობას“.

თამარს ამ უბოროტესი დანაშაულის აღსაკვეთად სპეციალური მოხელეების სამსახურიც კი შეუქმნია თურმე და მისთვის მეკობართ-ძმებნელები დაურქმევია. იქ დასაქმებულნი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდნენ და დამნაშავის გამოვლენისთანავე, გზაჯვარედინზე აგებულ სპეციალურ სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ მაშინვე, ყოველგვარი სჯაბაასისა და ყოყმანის გარეშე.

ასეთი უმკაცრესი, მაგრამ სამართლიანი აღმინისტრაციული კანონის მიღების მიუხედავად, საქართველოში დანაშაულის ეს ღრმა სოციალური მოვლენა მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარსაც ახასიათებდა, თუმცა, გაცილებით ნაკლები სიმწვავეთ, ვიდრე სხვაგან.

თამარის მეფობისას აღორძინდა: სოფლის მეურნეობა, კულტურა, ვაჭრობა, ეკონომიკა, მშენებლობა, სამხედრო და კიდევ სხვა მრავალი სფერო.

სწორედ იმ პერიოდშია აგებული კლდეში გამოკვეთილი ცამეტსართულიანი ციხე-ქალაქი ვარძია (მისი უნიკალურობა მთელ მსოფლიოს აოცებს დღემდე), მრავალი ეკლესია-მონასტერი: ბეთანია,

ბერთუბანი, ყინწვისი... შეიქმნა მართლაცდა განუყოფელი მხატვრული ნაწარმოები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. მოღვაწეობდნენ: მოსე ხონელი („ამირან-დარეჯანიანი“), იონე შავთელი („აბდულმესია“), ჩახრუხაძე („თამარიანი“) და სხვები; უბაღლო ოქრომჭედლები: ბექა და ბეშქენ ოპიზარები...

დიდმა თამარმა ქელი მოადრეკინა ჩვენი სამშობლოს მტრებს საქართველოს სამეფო ტახტის წინაშე და არამარტო განამტკიცა საზღვრები, არამედ მისი მნიშვნელოვნად გაფართოებაც კი შესძლო.

წმინდა მეფე განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით იღვწოდა ქართული მართლმადიდებლური დედაეკლესიის გასაძლიერებლად, ყოველ საშუალებას იყენებდა ღვთისმსახურების და მრევლის დასახლოვებლად. მან მოახერხა და საქართველოში დააბრუნა მცხეთის ყოფილი კათოლიკოსი ნიკოლოზი, - პატიოსნებითა და ნიჭიერებით სახელგანთქმული პიროვნება, შემდეგ კი, მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც სწორედ ეს ჭეშმარიტი მღვდელმსახური თავმჯდომარეობდა.

კრებას ესწრებოდა ქვეყნის ყველა ცნობილი ეპისკოპოსი, მონაზონი, მეუღაბნოე და საღმრთო სჯულის მცოდნენი.

კრებაზე მიბრძანებული თამარი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ისეთი თავმდაბლობით მიეახლა იქ მყოფთ და მიმართა სიტყვებით, რომელიც დაახლოებით საუკუნის წინ, საქართველოს დიდი

კათოლიკოს-პატრიარქის, ეპისკოპოს ლეონიდეს გად-  
მოცემით ასეთი შინაარსის იყო:

„წმინდანო მამანო, თქვენ დადგენილი ხართ ღვთისაგან მოძღვრებად და გამგებლებად ეკლესიისა, თქვენ მოგთხოვთ ღმერთი პასუხის გებას ჩვენი ცხონების შესახებ. მიაქციეთ მკაცრი ყურადღება ქრისტიანთა ცხოვრებას, კეთილი მხარე ამ ცხოვრებისა განამტკიცეთ, ხოლო რაც უგვანო და ბოროტი რამაა მასში, უსათუოდ მოსპეთ, მოჰკვეთეთ და სასტიკად აკრძალეთ დადგენილებით. გასწორება იწყეთ ჩემითგან, რადგანაც სიდიდეს ვატარებ მეფობისათვის და არა ღვთის საგმობლად, ნუ მოერიდებით მთავრებს მათი დიდკაცობის გამოისობით და ნურც უბრალო პირებს შეურაცხყოფთ მისთვის, რომ იგინი უბრალონი არიან. თქვენ კეთილი დადგენილებანი მოახდინეთ, და მე მათი შესრულებით დაგენმარებით, თქვენ სწავლა მოგვეცით, და მე თქვენ სწავლას შევითვისებ და სხვებსაც შევათვისებ, თქვენ მაგალითი დაგვიყენეთ წინ, და მის განხორციელებას მე ვიდებ თავს. ორივე მხარემ ხელი ხელს მივცეთ სარწმუნოების დაცვაში, რომ არ ჩავცვივდეთ ღვთის პასუხისგებაში თქვენ როგორც მღვდლები, მე, როგორც მეფე, თქვენ, როგორც უმფროსი გამგენი, მე, როგორც უბრალო დარაჯი“.

მეფის ასეთი განწყობით გამხნეებულმა კრებამ, ეკლესიის წინამძღოლად ნიკოლოზი აირჩია, ტაძრებს ჩამოაშორა უღირსი მღვდელმსახურები და ძალიან

მოკლე დროში მოახერხა ოჯახებსა და თითოეული ადამიანის სულში წესიერების დამკვიდრება.

თამარი ეკლესია-ტაძრებს მხოლოდ საქართველოში როდი აგებდა. მან მრავალი დანგრეული ღვთის სახლი აღადგინა საბერძნეთსა და იერუსალიმში. იმავე ადგილებში ახალი სალოცავებიც ააგო და ბევრი მონასტერი გაანთავისუფლა ურჯულოთაგან ხარკის გადახდისაგან.

ბასილი ეზოსმოდღვარი „ქართლის ცხოვრებაში“ ამბობს, რომ მხოლოდ ყოველივეს მმართველს, ყოვლადუზენაეს ღმერთს შეუძლია თამარ მეფის მიერ სამშობლოსათვის გაწეული ყველა წარმატებული საქმის აღწერა და როგორც ვერავინ მოახერხა ადამიანის თავზე თმის ღერის ზუსტი რაოდენობის დადგენა, ასევე კაცთაგან არავის შესწევს ძალა იმ უდიდეს ნაღვაწთა სრულად გადმოცემისა, რომელიც თამარმა გასწია.

ღღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, მრავალი სახელმწიფოს მაგალითზე, სახეზეა ხალხის სურვილი მონაწილეობდეს საკუთარი ქვეყნის მართვაში; თუმცა, სინამდვილეში ყველგან, მმართველი და სრული ბატონ-პატრონი, მხოლოდ ქვეყნის ხელმძღვანელ სტრუქტურებში მოხვედრილ ადამიანთა ერთი მუჭა ჯგუფია.

აი, ამიტომაც კიდევ უფრო მაღლდება თამარის პიროვნება, რომელმაც ჯერ კიდევ რვაასი წლის წინ, საკუთარი ნებით უარი თქვა ერთმმართველობაზე,

როგორც მეფე-ხელისუფალმა თავადვე შეიზღუდა ძალაუფლება და სამშობლოს საკეთილდღეოდ, ერთან ერთად აირჩია სახელმწიფოს მართვის სწორი გზა (დღეს დემოკრატიად წოდებული. ისე კი, ძვირფასო მკითხველო, ქართველებს, როგორი საამაყო მოსაგონარი დაგვიტოვა კეთილმორწმუნე თამარმა?!).

გამოჩენილი მწერალი, ერის საყვარელი შვილი, დიდი ისტორიკოს-მკვლევარი, აწ განსვენებული ლევან სანიკიძე თავის უკვდავ „დედა ისტორიაში“ წმინდა კეთილმორწმუნე თამარ მეფეზე ბრძანებს:

„... ყოველ წელს სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედ წილს ღარიბებსა და უქონელ-უბოვრებს ურიგებდა. გულის სიღრმემდე ეცოდებოდა თამარს უძღურნი და საპყარნი; თავის მახლობლად აბინავებდა მათ. საკუთარი ხელით აჭმევდა, საგებელ-საძინებელს გაუწყობდა, დააწვენდა და გაამხნევებდა. ცისმარე დღეს შეუსვენებლივ იღვწოდა.

იცოდა „წყნარმა და ნარნარმა, ცნობიერმა“ ადამიანური უქმობისაგან წარმოსდგებოდა ადამიანური ბოროტებანი. ყველა დასაქმებული ჰყავდა. „არცა თვითონ უქმობდა და არც თვისთა ყმათა აუქმებდა“.

შრომობდა ქართველი ხალხი.

შენდებოდა ტაძრები, სავანეები, სრასასახლეები, ციხე-სიმაგრენი, გზები, ხიდები, სარწყავ-საირიგაციო სისტემები...

ღიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი: მშვილდოსან-მახვილოსნობა, ნადირობა, ჯირითობა-მხედრობა.

ღიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი“ საღიაციონი: მატყლის ჩერვა და ძაფის რთვა, ქსოვა და ბეჭდვა, ჭრა და კერვა, ქარგვა და კემსვა მანულებად.

ღავით სოსლანს და გიორგი-ლაშას მისი ხელით შეკერილი და ამოქარგული ჯუბები ეცვათ.

საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაკერს საკუთარი ხელითვე აცმევდა ღარიბს, ქერივს, ობოლს, უძლურს, ღავრდომილს...“

აუწონავია თამარის ღვაწლი მისი ქვეყნისა და მშობელი ერის წინაშე.

საქართველოს უდიდესი შვილი, მუდამდღე სამშობლოს წარსულსა და მომავალზე მაფიქრალი, უკვდავი მწერალი და მკვლევარი პავლე ინგოროყვა ბრძანებს:

„... საქართველოს სახელოვანი მრავალსაუკუნოვანი ძველი ისტორიის მანძილზე, რომელსაც ამშვენებს მთელი წყება დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა, თამარის გვერდით შესაძლოა დაგაყენოთ მხოლოდ ერთი პიროვნება – ღავით აღმაშენებელი, - ღირსეული თანამოდასე თამარ მეფისა.

თამარი იყო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, მაგრამ ამით ყველაფერი არ არის თქმული.



თამარ იყო ბრძენი ხელმძღვანელი ერისა, ხოლო ქართველმა ხალხმა კიდევ უფრო შეიყვარა თამარი იმის გამო, რომ თამარში სრულყოფილად განსახიერდა ნამდვილი სიბრძნე დიდი სახელმწიფო მოღვაწის, ხოლო ამასთან მორალური სინათლე და სიდიადე დიდბუნებოვანი ადამიანისა... რომლის ნათელი გონება უნათებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბრწყინვალე აღმავლობას...“

საყვარელო მკითხველო, მჯერა იოლად შევთანხმდებით იმაზე, რომ აწ განსვენებულმა უკვდავმა მეთიქორიემ, ამ სიტყვებით, მთელი ქართველი ერის გულისნადები გამოხატა.

შთამბეჭდავია, სრულიად საქართველოს ერთ-ერთი დიდი კათოლიკოს-პატრიარქის, - ლეონიდეს მიერ, წმინდა თამარ მეფის ხსენების დღეს, თითქმის საუკუნის წინ, ქადაგებისას წარმოთქმული:

„... იშვიათად, რომ ვინმე მათგანი ჩასწვდომოდეს ერს ისე ღრმად გულში, როგორც თამარი, იშვიათია, რომ სხვას ვისმეს გაეთბოს ერის გულის ყველა კუნჭულები ისეთი ნაზი და დამატყვევებელი თანაგრძნობით, როგორც თამარ მეფეს“.

საქართველოს ისტორიის ჭეშმარიტი მებაირადეს, ერის მოჭირნახულე დიდი ივანე ჯავახიშვილის რწმენით, თამარ მეფის პიროვნება განსაკუთრებულია იმითაც, რომ ის ქვეყანაში მშვიდი გარემოს მიღწევას, მხოლოდ ძალისა და მკაცრი მოქმედების გამოყენებით როდი ახერხებდა. მამაზე-

ციერისაგან მოწყალებისა და სიმშვიდის უმაღლესი ნიჭით სხვაგვრიელად დაჯილდოებული, საოცრად სათნო და ღმობიერი კეთილმორწმუნე მეფე ძალადობის სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა; თურმე „ჭირვით ეჯავრებოდა და ეზიზღებოდა სიკვდილით დასჯა და სხვადასხვა დამასახიჩრებელი სასჯელები... როდესაც დამნაშავე სიკვდილით, ან თვალდაბნელებით, ან ასოთ-ამოდებით უნდა დასჯილიყო, განაჩენის აღსრულებისათვის მეფის თანხმობა და დამტკიცება იყო საჭირო, თამარ მეფე ამ თავის უფლებით სარგებლობდა, სასამართლოს განაჩენს „მოწყალებით“ არ ამტკიცებდა და ამ გზით ყველა ამგვარი სასჯელები გააუქმა და მოსპო, „შეწყალებულნი“ დამნაშავენი კი მსუბუქად ისჯებოდნენ...“

მაღლიერი ქართველი ხალხი მოწიწებითა და სიყვარულით ინახავს გულში წმინდა კეთილმორწმუნე მეფის, სამოციქულო მართლმადიდებლური დედაეკლესიის ნათლით გასხივოსნებულ თამარის სახეს. მისი სიდიადის და განსაკუთრებულობის აღმნიშვნელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქართულ ტაძრებში, ერთადერთ თამარ მეფის ოთხი ურთიერთისაგან განსხვავებულ ხატს ვხვდებით.

ერმა, წმინდა თამარის მეფობის პერიოდი ოქროს ხანად მონათლა.

ძვირფასო მკითხველო, ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, იმ ეპოქის აშკარა ლიდერობის სამხილად, ვფიქრობ, უმჯობესი და დროულიც იქნება, სულმნათ

პავლე ინგოროყვას უკვდავი ნაშრომიდან („გიორგი მერჩულე“), მეცნიერულად მტკიცედ დასაბუთებული ტექსტის ავტორისეული ვარიანტის შემოთავაზება;

აი, ისიც:

„თამარის ეპოქაში მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა საზღვარზე და მეცამეტე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებულია მთელი კავკასია, ანატოლიის და ირანის სანაპიროებით.

ამ ხანაში საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნები შემდეგნაირად ნაწილდება:

ა) უშუალო სამფლობელოები:

1-2. სომხეთი, რომელიც დანაწილებულია ორ სამფლობელოდ: ანისი და დვინი

ბ) ვასალური მუსლიმანური სამფლობელოები აღმოსავლეთ კავკასიაში:

3. შირვანი.

4. დარუბანდი.

5. არანი ანუ განძა (განჯა)

6. ნახჭევანი.

გ) ვასალური მუსლიმანური სამფლობელოები ანატოლიის სანაპიროზე:

7. კარნუ-ქალაქი (არზრუმი).

8. ეზინკი (ერზინჯანი)

9. ხლათი.

დ) გავლენის სფეროები:

10. ტრაპიზონის სამეფო.

„კავკასიის იმერეთის“ (ჩრდილოეთ კავკასიის) ქვეყნები:

11. ღუნძეთი (ავარია) და დაღისტანის სამფლობელოები.

12. ღურძუკეთი (საჩენხო).

13. ოვსეთი.

14. ქაშავეთი (საჩერქეზო).

ე) მოხარკე ქვეყნები:

15. ადარბადაგანი, შიდა-ირანის სანაპირონი“.

რვა საუკუნე გავიდა იქიდან, რაც თამარი ადარგვყავს ქართველთ...

ძნელად მახსენდება ვინმე სისხლხორცთაგანი, რომელიც ზეცად დამკვიდრებულ წინაპართა ნათელსულებს არ გაეფიბროს წმინდა დედოფლისა და საქებარი მეფის სიყვარულში და იმედად არ ჰყავდეს იგი.

ჰემმარიტი მამულიშვილის გულსა და გონებაში, ძირშეურყეველ, მტკიცე სალოცავად დამკვიდრდა ერის „სულიერ საუნჯედ და შვების წყაროდ“ წოდებული თამარი.

ჩვენი ჯიმ-ჯილაგისათვის მიუღებელია ისეთი ქართველი, რომელსაც თუნდაც მცირედითაც კი განელება თამარის სიყვარული და პატივისცემა, უფრო მეტიც, ხალხი ასეთ თითო-ოროლა კინკილას, ვინც „თამარის ქებას დაივიწყებს, თამარის ხსოვნას გაიქრობს“, ახლოსაც არ იკარებს ერის დაუწერელი, მაგრამ სამართლიანი კანონის თანახმად.

ყოვლადუზენაესმა ერთი კარგი თვისებაც მოგვმადლა ქართველთ: - თამარ მეფის მიმართ ღიდი რიდისა.

სიტყვამ მოიტანა და სურვილიც გამიჩნდა მოკლედ გაამბოთ ღიდუბის წმინდა ღიდმოწამე გიორგის სახელობის ეკლესიის (თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე) წინამძღვრის, დეკანოზ ანტონის (ხანთაძე) ნაამბობი:

- „სრულიად ყმაწვილი, თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა ვარ და თბილისის უმნიშვნელოვანეს სიონის წმინდა ტაძარში მედავითნედ ვმსახურებ.

სწორედ იქ სრულდება საღვესასწაულო რიტუალი.

განწყობაც შესატყვისია. წუთი-წუთზე კელოდებით ჩვენი უწმინდესის მობრძანებას.

ერთად ვდგავართ ახლა უკვე წმინდანად შერაცხული მამა გაბრიელი (ურგებაძე) და მე. ჩვენს შორის საკმაოდ ღიდი ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, კარგა ხანია, მისგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და სითბოს ვგრძნობ. ბუნებრივია, მახარებს ეს და ზომიერად შეამაყება კიდეც.

მინდა რაღაც ვკითხო ძვირფას მღვდელმსახურს და ამისათვის ხელსაყრელ დროს ველოდები.

და აი, საეკლესიო რიტუალში ნანატრი პაუზის დრომაც მოაღწია. ვსარგებლობ ამით და ჩემს საყვარელ მოძღვარს ვეკითხები:

- მამაო, რას მეტყვით იმაზე, რომ ქართველებს საუკუნეებია მეფე აღარა გვყავს?

აშკარად შევატყვე, არ ელოდა ამ კითხვას.

არ დაბნეულა.

მცირე შეყოვნების შემდეგ, ალერსიანად შემომხედა და მშვიდად მიპასუხა: უმშობლებოდ დარჩენილი შვილებივითა ვართ ახლა ჩვენ. წარმოგიდგენია თამარ მეფე რომ გამოგვეცხადოს რას გვეტყოდა?!

გულიანი კაცისათვის დამახასიათებელი სინანულით წარმოსთქვა, თვალებში კი, ძნელად შესამჩნევმა სისველემ მაინც თავისი გაიტანა და გაცილებით მეტიც სთქვა...

ვერ ვიტყვი, უიმედობა დავინახე მეთქი მის სიტყვებში, მაგრამ ერთი კია, ბრძენ პიროვნებას, მაშინდელი ათეისტური შეგნებით გაჟღენთილი ყოფისათვის ნამდვილად არ ემეტებოდა სამშობლო ჩვენი და დიდი წინაპრის წინაშეც, პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთის ასაწევად, საკუთარი ბეჭის შეშველების აუცილებლობა კარგად ჰქონდა შეგნებული“.

რაც ხანი გადის, მით უფრო ძვირფასი და ახლობელი ხდება მადლიერი ერის გულს სამარადჟამოდ დაუფლებული ჩვენი თამარი-საქართველოს პირველი მანდილოსანი მეფე.

გავიხსენოთ ამ დიდებულ მეფესთან დაკავშირებულ უამრავ ლეგენდათაგან ერთი:

- თურმე, დიდი მეფის ერთ-ერთ კეთილმოსურნე პიროვნებას მისთვის ლომის ბოკვერი უჩუქნია. მალე, ის ისეთი ვეებერთელა და თანაც ავი გამზდარა, რომ მისი სადარი, შინაურ თუ გარეულ ცხოველთა შორის, კაცის თვალს ნანახი არ ჰყოლია.

მეისტორიეს თხრობით, მეფის სასახლეში შეყვანისას, ბოკვერის შეკავება წარმოუდგენლად რთული საქმე ყოფილა. თუ თამართან არ მიუშვებდნენ, ნებისმიერი წინააღმდეგობის დამძლევი ნადირი ყველაფერს ანადგურებდა, ნაცარ-ტუტად აქცევდა და დედოფალთან მაინც მივიდოდა. ამის შემდეგ კი, საოცრად თბილი და თვინიერი ხდებოდა, თამარს ეკვროდა და ეფერებოდა, ხოლო წაყვანისას, ძლიერი ჯაჭვებით დაბმული ცხარე ცრემლებს ღვრიდა...

საოცარი ამბავია.

იქნებ ცოტათი გადამეტებულიც, მაგრამ ერთია აქ მთავარი: ნათლად სჩანს განწყობა და დაჯერებულობა ერისა, თამარ მეფის ყოველმხრივ სიძლიერესა და ღვთისაგან ბოძებულ ზებუნებრივ შესაძლებლობებზე!..

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული მხარის ულამაზეს ქალაქ ახალციხეში, ქვეყნის იმდროინდელი ხელმძღვანელობისა და ცხადია, საპატრიარქოს ერთობლივი შეთანხმებით, გადაწყდა სამოცდაათტონიან თეთრ ქვაში თამარ მეფის ძეგლის გამოკვეთა.

როცა ჯერი ძეგლზე, მეფის გულის მიდამოების დამუშავებაზე მიდგა, მოხდა სასწაული:

- ზუსტად გულის ადგილზე ქვა გასკდა. საქმეში მეცნიერები ჩაერივნენ. მათ აღმოაჩინეს თბილი სითხით სავსე, ადამიანის გულის ფორმის რბილი მასა.

„თამარის გულად“ მონათლული რბილი მასა, დედაეკლესიის მამამთავარს, ილია მეორეს მიუტანეს. ეკლესიის საჭეთმძყრობელმა ის სიწმინდედ აღიარა და საპატრიარქოში ღირსეული ადგილიც მიუჩინა.

გავიდა ცოტა ხანი და „თამარის გული“ თბილისის სიონის წმინდა ტაძარში გადააბრძანეს. ჩვენმა სულიერმა წინამძღოლმა ილია მეორემ, ეს ამბავი საქართველოში მომხდარ სასწაულთა შორის, უფლის კვართის შემდგომ, მთავარ სასწაულად აღიარა.

რვაასი წელია ქართველები ვმადლობთ ყოვლადწმინდა უზენაეს სამებას ერისათვის მეფე თამარის მოვლენის გამო.

2004 წლის 4 ივლისს, დიდმა ილია მეორემ სიონის წმინდა საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმული ქადაგებისას ბრძანა:

- „გაიხსენეთ ჩვენი დიდი წმინდა მეფეები თამარი და დავით აღმაშენებელი. მათ უთვალავი მიწიერი საუნჯე ჰქონდათ, მაგრამ ამაზე მეტი ჰქონდათ სულიერი-ლოცვა, მარხვა, მოწყალების საქმე.

ისტორიიდან ცნობილია, როგორ ლოცულობდნენ ეს მეფეები. მაგალითად, როგორ მიუძღვოდა



თამარი ფეხშიშველი ჯვრით ხელში თავის ჯვარს და მერე თავის სასახლეში კი არ ბრუნდებოდა, არამედ მონასტერში მიდიოდა და იქ დღესა და ღამეს ღვთისადმი ვედრებაში ატარებდა, რომ ჯარი შინ გამარჯვებული დაბრუნებულიყო...“

ნიშანდობლივია, ერის მოჭირნახულე უკვდავი ივანე ჯავახიშვილისეული დახასიათება („ქართველი ერის ისტორიაში“) თამარისა:

„... ბუნებამ გასაოცარი სილამაზით შეამკო დიდებული თამარ მეფე და ამ მხრივაც იგი ქართული განთქმული სილამაზის საუკეთესო, სწორუპოვარი წარმომადგენელი იყო. ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომავლობისთვის დიდი თამარის სახელი იმითომ იყო სათაყვანებელი, რომ ზესთაბუნებრივის ძალით მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რადა ღირდა, რომ საქართველოს უუმწვერვალეს სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ამ ნაზს და სათუთს არსებას, უმშვენიერესს ქალს არგუნა მეფობა... შორს გამჭვრეტელი პოლიტიკით, თამარმა ბრწყინვალედ დაავგვირგინა საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობის ის დიადი საქმე, რომელიც მისი სახელოვანი წინაპრის დავით აღმაშენებლის მიერ იყო დაწყებული...“

წმინდა თამარ მეფის ხსენების დღედ ჩვენმა დელაეკლესიამ 13 თებერვალი და 14 მაისი დააწესა.

ყოველწლიურად, ამ დღეებში, განსაკუთრებული მოკრძალებითა და პატივისცემით აღნიშნავს სრულიად საქართველო ეროვნულ ზეიმს - „თამარობას“ და ასე გაგრძელდება სამუდამოდ!

*ჩვენი ბრძენი დიდი მეუფის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ინიციატივითა და წმინდა სინოდის მხარდაჭერით 2013 წელი თამარის წლად გამოცხადდა.*

ბუნებრივია, კვლავაც გაცილებით მეტი სიხშირითა და მადლიერებით გვმართებს ყოვლადუზუნაესისადმი სამადლობელი სიტყვებით მიმართვა და რწმენაში გაძლიერება იმ მხრივ, რომ საქართველოზე გადაფარებული კალთა თამარისა, უფრო მცხუნვარე, მზრუნველი და სასწაულმოქმედი დიახაც, სწორედ მაშინ ხდება, როცა ერის ცხოვრება დაღსინებული ვერაა!..



*კეთილმსახური მეფე თამარი*

# ზოგი რამ თქმულთაგან წმინდა მეფეზე

*შოთა რუსთაველი*

## *ვეფხისტყაოსანი (რამდენიმე ნაწყვეტი დასაწყისიდან)*

... ვის შეენის, - ლომსა, - ხმარება შუბისა,  
ფარ-შიშშერისა,  
- მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ,  
თმა-გიშერისა,-  
მას, არა ვიცი შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?  
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ  
მიშერისა.  
თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა  
ცრემლ-დათხეული,  
ვთქვნი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.  
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე  
ნა რხეული,  
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.  
მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა  
ტკბილისა,  
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა.  
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მით მიჯრით  
მიწყობილისა.  
გასტენს ქვასაცა მაგარსა გვრდემლი ტყვიისა  
ლბილისა...

თამარიანი  
ქება მეფისა თამარისი  
(შესავალი, ამონარიდები)

... მო, ფილოსოფონო, სიტყვითა არსნო,  
თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა!  
დიონოსითგან, ვით ენოსითგან  
სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა!..  
... შუქნი კრთებიან, ემუქვებიან,  
ზუალ იჩინებს დაქადებულად.  
გულისა ნებო, მზეო, ინებო,  
თამარ ჩანს შენად რუსხა მკლებულად...  
... ვინ ჩნდეს სამყაროს, ალვა აყაროს,  
ან თამარ ჩნდების განმთავრებულად,  
მეშურნეობდეს, რად მიმყვანობდეს,  
რომე ვინ იყოს მოშორვებულად...  
... თამარ წყნარი, შესაწყნარი,  
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,  
მზე-მცინარი, საჩინარი,  
წყალი მქნარი, მომდინარი...  
... ვინ არს ებანი? ვინ არს, ბანი,  
არა არს სათნი სახელოვნებად!  
მან ცათა მარის, მანცა თამარის  
გან მზე აბნელა მაცისკროვნებლად?...

... ვინ ჩნდა საწმისად, მსგავსად აწ მისად  
წინასწარ-მოქმელი მოსწავებულად  
ცად, საყდრად, ღრუბლად,  
ლაწვ-ბროლ-ვარდ შუბლად,  
თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად...  
...ყო-ლა მიზენით, მოხედა ზენით  
თამარ შუქ-მენსა, ნათელიერსა...  
... მტკიცედ აქვს სჯული, ჩანს მართ-მსაჯული,  
მას რომ უხმობენ ღმრთის სახიერსა.  
უძრწის ჰავარი, სტურფობს ჯავარი  
მშვიდსა და წრფელსა და ღმობიერსა...

## *იოანე შავთელი*

### **აბღულმესიანი** (*ამონარიდები*)

... შემოკრბით, ბრძენნო, ათონელთ ძენო,  
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა, ...  
... ვიწყო-ლა ქებად, ძვილ შეკადრებად,  
მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი,  
მხნე, ღმობიერი, ქველი, ძლიერი,  
ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი,  
შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი,  
მტერთა ქვესკნელად დამამხობელი,

რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი,  
ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი...  
... აქვს სასოება მას, სათნოება,  
სარწმუნოება სიყვარულითა.  
მადლთა ტალანტი, სავსედ ბალანტი  
შეუკრებიეს თვით სურვილითა...  
... ტურფა სახითა ცხოვლად სახითა  
მოყმე, მხნე, უზვი დაიბადენი...  
... იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა,  
გულის-მღებელად თვისთა სპათათვის,  
გორგასლიანი, დავითიანი  
დროშა იახლის მსრველად მტერთათვის...  
... ლომს ძლიერება, მზეს ბრწყინვალეობა,  
მუშკს სურნელება შენგან მიეცა;...  
...თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,  
მშიერთა პური, უსახლთ სართული,  
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,  
შიშველთ სამოსლად მონიჭებული,...  
...შენ, გონიერო, გულისხმიერო,  
თვით მეცნიერო, მეფევე ძლიერო,  
მიუხდომელო, მიუწვდომელო,  
მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,  
განათლებულო, განახლებულო,  
გაბრწყინებულო, მზეო ციერო,  
გალაღებულო, გალომებულო,  
კვლა გოლიათო, გულ-ლმობიერო!..  
... მოიძუშაკენ, ღვაწლით მოიმკენ

სათნობათა მჭლეულობა.  
ხარ სიბრძნის ვაზი, ნათლის ემბაზი,  
სულისა ქნარი, ღმრთის მზილველობა.  
მეფევ მაღალო, ქცევა-მდაბალო,  
ლომისა მსგავსო ძაღად და გულად,  
ალვისა რტოო, ყოვლად მარტოო,  
მჭვრეტთ სასურველო მოსარხველად,  
შუქთა მფენებო, თვით განმთენებო  
ზე-სამყაროსა, მერმე ქვე-ველად!...

## *მეფე თეიმურაზ პირველი*

### *თამარის სახე დავით გარეჯას*

მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახესა ჰმონებენ,  
შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ,  
სხივ-მოსიერად გიმზერენ, უკვდავ-მყოფელად  
გგონებენ,  
იშვებენ, მათთა პატიჟთა მათ ღზინთა შეუწონებენ.

შენ სამებაო, ერთ-არსებაო, სამ-გვამოვნებით ერთო,  
განუწვალებელო,  
ერთ ბუნებაო, უმობელო და ძეო შობილო, სულო  
მამისაგან გამომავალო,





# რაფიელ ერისთავი

## თამარიანი

(ნაწყვეტი ისტორიული პოემიდან)

გარდაიცვალა თამარი. ჩაესვენა ქართლის მთვარე,  
უბედურსა საქართველოს დღე დაადგა დიახ მწარე,  
ერი იგლოვდა შავ დღესა, დასტიროდა დიდი, მდარე,  
ავედრებდნენ იმის სულსა და სდიოდა ცრემლი  
ცხარე!..

გაქრა მთიები, მზე თამარ, მთლად საქართველოს  
მფლობელი,  
„რკინის პალოდგან შავმეთით, გურგენის ზღვამდე  
მპყრობელი,  
ერთგულთა ჯილდოს მიმცემი, ურჩებთა დამამნობელი,  
ღელა და მეფე ქართველთა, ლაშა-გიორგის მშობელი“.

ქალ-ვაჟი დარჩა ნეტარსა, მეტი არ ესვა შვილები:  
ლაშა-გიორგი, რუსუდან, ტურფანი, კვალად  
ზრდილები,  
მათ დაუტევა მოყმენი, მასთანვე გამოზრდილები,  
ერთგულნი, გამჭირიანნი და ჭირში გამოცდილები.

სამეფო დარჩა ძლიერი, კარგებთან დასადარია,  
ეკლესიებით შემკული იყო აქ მთა და ბარია.

სასწავლებლებით მბრწყინვალეს ჰყვანდა მრავალი  
ჯარია.  
იმათთა მოპირდაპირეს ერთხელ არ გაუხარია!..

ციხეებით, ქალაქებით სამეფო იყო მკობილი,  
ნავთსაყუდელნი გემებით, ნავეებით გამოწყობილი,  
დიდება თამარ მეფისა მეფეებს ჰქონდათ ცნობილი,  
ზოგნი აძლევენ ხარკებსა და ზოგი იყო ძმობილი...

## *გრიგოლ ორბელიანი*

### *თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში*

შენს წმინდა სახეს,  
მშვენებით სავსეს,  
სახიერებით განსხივებულსა.  
ვუმზერ კრძალვითა,  
თაყვანცემითა,  
ცრემლმორეული გემთხვევი ფერხთა!  
მიხარის-გიმზერ,  
ვწუხვარ-და გიმზერ  
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,  
არ გამოვფხიზლდე,  
რომ აღარ ვგრძნობდე

ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!  
ყვავილოვანი  
წალკოტი შენი,  
შენის დიდების სხივმოკლებული,  
ალარა ჰშვენის,  
ალარ გვიბრწყინვის  
შავ დროთა ძალით ფერწახდენილი!  
და, ვით განვლილსა  
სიზმარსა ტკბილსა,  
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,  
ვიგონებთ შენს დროს,  
გული გვიმაგროს,  
სრულად არ წავსწყდეთ ცის შემრისხავნი!  
ხნით დამაშვრალნი,  
დაღონებული,  
შენადვე, მეფევე, მოველ ვედრებით:  
მოხედო ბედკრულს  
შენს სატრფოს-მამულს  
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.  
შენი ივერი აღსდგეს ძლიერი  
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,  
წმიდით საყდართ, ენით მდიდართ,  
სწავლისა შუქით განათებული!  
ზნეამაღლებით, ძლევის დადებით,  
სამშობლო მიწის სიყვარულითა!..  
და გაგვიცოცხლდეს,  
რომ კვლავც მოგვესმეს

სიტყვა ქართული რუსთაველისა.  
რომ განვიღვიძნეთ,  
სულით განგახლდეთ  
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!  
მარად ცად თვალნი  
მაქვს მიქცეულნი,  
და მე ველარ მცნობ გულშემუსვრილსა,  
დამცირებულსა,  
ხმამიღებულსა,  
ბედლაკარგულის ივერიის ძეს!  
ეჭვით აღვსილსა,  
უსასოდ ქმნილსა,  
გულუიმედოს, გაუხარებელს...  
ვაჰ, თუ რაც წახდეს,  
ველარა აღსდგეს,  
ველარ აყვავდეს ახლის შვენებით  
და რაც დაეცა,  
ის წარიტაცა,  
შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი?  
ეჰ, ცრუ სოფელო,  
დაუნდობელო,  
შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?  
დიდება ჩვენი,  
ცად სხივმიმფენი,  
ნუთუ ესლა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?  
დაყრუებულსა,  
გზაშეუგალსა,

უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,  
სად სახე მეფის,  
დიდის თამარის,  
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!

## აკაკი წერეთელი

\* \* \*

... განა თამარნი ქვეყნად კვლებიან?  
საუკუნიდან საუკუნეში  
ისე, ვით მთვარე, გაახლდებიან.  
მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყება  
მათი სიცოცხლე დაუვიწყარი  
და სათაყვანოდ სამარადისოდ  
საერო გულის ელებათ კარი.  
მეცა ყოველ წამს თამარი სათნო  
თვალწინ მეხატვის გაბრწყინებული,  
იმის გამო მაქვს სულისკვეთება  
და მისთვის მიძგერს სიწმინდით გული,  
ის არის ჩემი წმინდა წმინდათა,  
ჩემი სულისდგმა, ჩემი გულისდგმა,  
ჩემი არსების გამასპეტაკი...  
წმინდა მირონი და აიაზმა...

დიდი თამარი

ქალო, ქართველთა სულის დგმავ,  
ქალო, ქართველთა დედაო!  
ტყუილად ვამბობთ შენს სიკვდილს,  
თამარს ცოცხალსა გხედაო.  
რუსთველის ქებას ჩვეულო,  
მეც ქებას გაგიბედაო.  
როს ვგრძნობ, იმისებრ ვერ ვმღერი,  
რად არ ვჩუმიდები ნეტაო?!  
არ მოგეწონოს, იქნება,  
სთქვა: „რისთვის ითავხედაო,  
მონად აღზრდილმა მოლექსემ  
სალამი გამიბედაო?!“  
შენ თვალთ სხივებმა ამაგზნო,  
დამათრო, ამაყბედაო.  
საუნჯევ სათნოებისა,  
ჩემიც მიიღე ქებაო,  
ვინმე საწყალის ფშავლისა!  
ცრემლი აღარა მშრებაო.  
თამარის სალოცავშია  
მოსჩანს ფშავლების კრებაო.  
შენთვის მსხვერპლისა შეწირვით  
ქალ-ვაჟი ვერა ძღებაო,  
შენთვის დაკლულის ცხვარ-ძროხის

დიდი ჩახტები დგებაო.  
გულში გვინთიხარ ლამპრადა,  
ნათობს და არა ჰქრებაო.  
შენს და შოთაის მარჯვენას  
ვემთხვიე, ზედი-ზედაო.  
შენა ხარ ერის სიცოცხლე,  
თავი არ მომიკვდებაო!  
მოწყალედ გვექმენ ქართველთა,  
ჩვენო ლამაზო დედაო!

## *კოლაუ ნადირაძე*

### *თამარის კურთხევა*

უკვე მესამედ სვეტიცხოვლის ჩამოჰკრეს ზარებს.  
კათალიკოსი, ხელაპყრობით მლოცველებს ელის...  
და ჰა, აღებენ უხუცესნი სამეფო კარებს-  
შემოჰყავთ თამარ ფერშემკრთალი და თავმიშველი.  
უმანკო ღაწვებს, ევინება სანთლების სხივი.  
თეთრი სამოსი ბისონისა ტანზედ დაჰყრია.  
მამის ნაბოძი ყელს უმშვენებს მარგალიტთ მძივი  
და წამწამები გიშრისანი ქვევით დაჰხრია.  
შემოჰყავთ თამარ და... უეცრად ახშიანდება,  
აგუგუნდება წინაპართა სავანე დიდი.  
გოლიათებად ჩარაზმული შეტორტმანდება



ათაბაგების და რაინდთა რიგები მშვიდი.  
დავითის სახლის საგვაროვნო „ოსანას“ ხმები  
სმენას უტკობენ დაჩოქებულს ტრაპეზის წინა.  
აცხებენ მირონს და გვირგვინით დამძიმდნენ  
თმები...

ოქროს კანკელი მის წინაშე სანთლებით,  
ბრწყინავს...

შეწყდა გალობა და გაისმა: „მეფე თამარი!“  
საკმეველის ნისლში ოდნავ არჩევს  
მღვდელმთავრებს თვალი.

ნელა ადგება, შეპყრობილი იდუმალ ძალით...  
აჰა, მას წელზე შემოარტყეს ფართე ქაპარით,  
ვით მთავარსარდალს უზენაესს, ვახტანგის  
ხმალიც.

ღვთაებრივ სახეს, კიდევ ბავშვურს, ვარდისფრად  
ღებავს  
ოქროს, პორფირის და ძვირფასი თვლების ციალი.  
უსმენს ზარების გრიალსა და ქებათა ქებას.  
თვალებს სჭრის შუქზე რაინდების აბჯართ  
კრიალი.

ის ველარ ამჩნევს დიდებულთა თავდახრილ  
კრებულს.  
იდუმალ განცდით მისი შუბლი თითქოს ფითრდება.  
ახედავს გუმბათს სასოებით, წამს ჩაფიქრდება  
და ნეტარებით გაუღიმებს ხალხს დაჩოქებულს.

**ციხის სიზმარი**

როცა მთავრე შეწყვეტს კაშკაშს  
და ბნელს შემოიხვევს  
ისე, როგორც დაღლილ ვაჟკაცს  
მძიმედ სძინავს ციხეს.  
სძინავს ციხეს, ნატამალი  
ზმაც არ აკრთობს სმენას,  
სძინავს, ფიქრებს ალამაზებს  
და სიზმარში ხედავს,  
რომ მის ბებერ გალავანზე  
არწივები სხედან.  
რომ კვლავ ისმენს ძველთა, ველთა  
ნიავ-ქარის ნანას,  
რომ მის ბებერ საძირკველთან  
ქართველები დგანან,  
რომ დილისკენ, როცა დნება  
მუქი შუქი მთვარის,  
გალავანზე გადმოდგება  
საქართველოს თვალი.  
იხურება ჯიხურებად  
დაღრუბლული სივრცე,  
დედოფალი იყურება  
არტანუჯის მხრისკენ.

სძინავს ციხეს, ჯანიანი  
თრთის და სიზმრად ხედავს:  
ეს ქართველთა ჯარი არის  
თუ უღრანი ხეთა,  
ეს ნისლია ჩვენებული  
მზესავით რომ მოჩანს,  
თუ ქართველთა ძველებური  
ჩალისფერი დროშა?  
ვისკენ მოაქვთ ეს ალმები,  
ვის უხდიან ჩაჩქანს;  
ეს თამარი ესალმება  
საქართველოს ლაშქარს.  
იხურება ჯიხურებად  
დაღრუბლული სივრცე.  
ეს თამარი იყურება  
არტანუჯის მხრისკენ!  
სძინავს ციხეს, მაგრამ დილით  
მზე რომ იწყებს კაშკაშს,  
ელვიძება, როგორც ძილით  
დასვენებულ ვაჟკაცს.  
ელვიძება, როგორც სისხლით  
გაგოფებულ მხედარს,  
ელვიძება, მაგრამ ძილში  
ნახულს ვეღარ ხედავს;  
ვეღარ ხედავს გაავდება  
აშლის ხავსის ბალანს  
და გრუნუნებს ნაადრევი

გაზაფხულის გვარად.  
მერე ისევ ალამაზებს  
სიზმრით თავის სვე-ბედს  
და ხავსიან გალავანზე  
არწივები თვლემენ.

## ალეკო შენგელია

### თამარის ციხე

გზა მთას აჰყვება და მაღლა მიდის  
და მთა ზვიადი შავ ღრუბლებს იხვევს.  
აქ გამოჩნდება თამარის ხიდი,  
იქ გაბრწყინდება თამარის ციხე.

ავყვები ბილიკს და მთათა ზევით,  
ისევ მთის კალთებს მისდევს ბილიკი  
პირაქეთ ხიდი ჩანს ძველისძველი  
და კვლავ მრისხანე ციხე-პირიქით.

ვკითხავ მოხუცებს კრძალვით და რილით:

- რა ნანგრევია იმ მთების ზემოთ?

- ზემოთ ციხეა, ქვემოთ კი ხიდი

თამარ მეფისა, ბატონო ჩემო!

უბრწყინავთ თვალი და წინაპართა  
წარმოდგებიან წმიდა ლანდები.

მე ვგვიანდები ძველ ციხის კართან  
და მიხარია რომ ვგვიანდები.

## ვახტანგ ნადარეიშვილი

### თამარ ქვაში?!

(თამარ მეფე, ჩახრუხაძე, - ქანდაკებები ნიკოლაძისა)

ქალო, ქალო, ქართლის სძალო,  
ქოშწითელა დედოფალო,  
თეთრი მარმარილოს ქვა ვარ-  
ძეგლად უნდა გაგეთალო...  
ბაგე ქვაში,  
ლაწვნი ქვაში,  
დედოფალის თამარისა?...  
მისი თავშლის,  
მკლავთა გაშლის,  
ან ძუ ლომის ფაფარისა,  
ვინ შეიძლოს გაქვაება...  
- გაქვაება თამარისა...  
ვინ მოსტაცოს ძვალი სპილოს,  
- ვარდს კოკორი, სააპრილოს,  
წელი მისებრ ვინ აწვრილოს...  
ნუქარდინი დაამარცხა,  
დაღლილია, მიიძინოს...  
დაამარცხა ნუქარდინი,  
ქართლის დროშად ის მანდილი-შრიალებდა!..  
დაღლილია მიიძინოს,  
პირს ღიმილი დაირბინოს...

ვით გაქვავდეს მოშრიალე ფოჩი დროშის,  
ვით მიწნარდეს მობაკუნე მისი ქოში...  
დედოფალის თამარისა-  
საქართველოს უჭკნობ შროშნის.  
ტაბახმელას მიიძინა,  
წამწამები მიიმძივა,  
ღაწვნი სპილოსძვალობდა,  
ანგელოსი ჰგალობდა...  
მცხეთას სამწყსო ჰგალობდა...  
დედოფალმა მიიძინა-  
გვიდგას ფერიცვალობა...  
ტაბახმელას მიიძინა,  
ბაგე გაისიფრიფანა,  
მცხეთას სამწყსო ჰგალობდა:  
„სულთა თანა... სულთა თანა...  
აბრეშუმი გადიფარა,  
თეთრი მკერდი უსარჩულა,  
დედოფალმა მიიძინა,  
საყურენი მიაჩუმა...  
წკარუნობენ უზანგები,  
ქოშს ეძებენ უზანგები-  
დედოფალის პაწა ტერფებს,  
უზანგებში გამოფიფქულთ-  
ვითარც პეპლებს...  
წკარუნობენ უზანგები  
ღურჯა მერნის ფრთამაღლისა,  
პაწა ტერფებს დაეძებენ

თამარისას... თამარისას...  
ვუმზერ ლაწვებს სასპილოსძელეს,  
პირზე დაყრილ ასპიროზებს,  
ეგ ბაგები, ეგ ლაწვები,  
გადაურჩნენ ვის ოცნებას?..  
ქართლში დარჩა შენი სუნთქვა,  
თრიალეთზე ისოსნება...  
ქართლში დარჩა ეგ ტანწელი,  
ოდეს ფიქრთა შესავლებად,  
წითელ ქოშთა ვერ ვემთხვიე,  
ვერ გადუველ შენსა ნებას...  
ქოშის იაგუნდები,  
ქოშის მარგალიტები,  
ვით გუნდ-გუნდად გვრიტები,  
ანუ შროშნის კვირტები-  
დამრჩნენ მიუმთხვეველნი,  
ველარ მიეუამბორე,  
ბაგით ველარ გავბროლე-  
ეგ წითელი ქოშები.  
- და გულს მოაკლდა შენი სიტკობო რა  
გული უშენოდ ამოიტბორა...  
თმანაწნავი დაგიშრული,  
ბაგე ვარდის ბუჩქიანი,  
თამარ მარად სალოცავი-  
თამარ მზეა უჩრდილავი...  
მზე და... ქვაში...  
თამარ ქვაში,

თამარი ქვად გაითალოს?  
ლიმი ტუჩზე რომ შეუწყდა-  
მარმარილომ დაიმთავროს?  
ან გვირგვინ ქვეშ ჩამოთლილი,  
გაუთეთრდა თამარს თმა როს?..  
დედოფალო თამარ,  
ქართლს ნუ მოუღამავ,  
მოაბრწყინე ალმასები,  
სხმულნი გვირგვინ-ქამარს...  
ტკბილ არს ბაგე შენი,  
რბილ არს ბაგე შენი,  
წამწამებიც ნეტარ გაიბიბინებს...  
სიღბოს მაგ ბაგეთა-  
- ქვა ვით გაირბილებს,  
ლიმილს მაგ ბაგეთა  
- ქვა ვით გაილიმებს...  
და ოსტატმაც ჩაბრუნაძეს  
როცა ბაგე ამოუჭრა,  
მშვიდ ღიმილად შენი ბაგე შეუფინა,  
ისე ნაზად, ისე თბილად,  
მნახველთა სთქვეს:  
„ჩაბრუნაძეს ქება როდი ამოუჭკნა“...  
და დარბაზში ღინჯად მღვარმა  
ქება იწყო თამარისა,  
იწყო სიტყვა მოუმცდარმა  
და სისველეც უგრძნო თვალმა...  
„თამარ წყნარი“...



შერჩა ბაგეს, ვითარც ბალებს-  
ყვავილები...  
წარმომიდგა თამარ ქალი,  
ქართულ ქვისგან გამოთლილი,  
გვირგვინს ესხა მარგალიტი-  
მობნეული ქვირითივით-  
ნუთუ მტრედი ლულუნებდა-  
ვარდის ძირზე დაშლილ ფრთითა,  
ფრთებიც იმის მკლავებს ჰგავდნენ,  
ყვავილს ადრე დანათრთვილსა...  
და ვინატრე: მისი სახე  
რა მარჯვენა გამოთალოს...  
მომიტევე, ქართლის სძალო,  
ქოშწითელა დედოფალო...

*ანა კალანდაძე*

### **შორია თამარ**

მზის ღიმილი აღაჩინა ცამან,  
ვარდს აღმოხდა ხმაი საოცარი:  
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ...  
დედოფალო, საით მიიჩქარი?  
ძოწისფერად ირიჟრაჟა ცამან

და პეპელას აღვიძებდა ქარი.  
მღუმარ იყო, ნალვლიანიც იყო...  
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში...  
და ძვირფასი თან მიჰქონდა მიმყოლს  
მარგალიტით მოჭედელი ქოში.  
მღუმარ იყო, ნალვლიანიც იყო...  
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში.  
რტოს არხევდა, ნამს იშრობდა ნაძვი,  
ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე.  
მიდიოდნენ, მიდიოდნენ ასე...  
ბოლო მაინც არ უჩანდა მანძილს.  
რტოს არხევდა, ნამს იშრობდა ნაძვი,  
ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე.  
ჩუმი ნამი ირეკლავდა არილს;  
დელოფალსაც როგორ გაეცინა,  
როს პეპელა აუფრინდა წინა  
ჭრელი პაწაწინა.  
არწივი ხმობს, ნიშანია დარის,  
ჩუმი ნამი ირეკლავდა არილს;  
დელოფალი ლაღად მყოფი ნახეს,  
დრო მიეცათ მისსა ჩუხჩერახებს,  
სწამდათ, მაგრამ მაინც ანუგეშეს:  
ნუქარდინი შენთა ფეხთა ქვეშე  
დააფენსო თავის ბაირაღებს.  
ერთგან შედგა, თვალი უსწრო ფრთამაღს,  
გამარჯვებას უყიოდა თამარს,  
ბებერ კლდეზე არწივი რომ იჯდა,

ფრთას გაშლისო საქმე შენთა ნიჭთა.  
ფეხები ხომ არ ტკენია თამარს?  
არა, კლდეზე თვალი უსწრო ფრთამაღლს.  
მიმწუხრისას, მზეი როცა დაცხრა,  
დედოფალი ლოცვად იდგა ტაძრად...  
- გადმოგვხედე, ღვთისმშობელო დედაო,  
გაგვიმარჯვე, ქართველთ მტერთა ზედაო,  
საქართველო შენი წილმიმხვდარია,  
გაგვიმარჯვე, ღვთისმშობელო მარიამ...-  
მიმწუხრისას, მზე როცა დაცხრა,  
თამარ მეფე ლოცვად იდგა ტაძრად.  
მაღალ მთებსა ისევ ნისლი ფარავდა,  
არ ფხიზლობდნენ ნუქარდინის კარავთან:  
რის სიფხიზლე? ისეც ბევრნი არიან!  
რისი შიში? უთვალავნი არიან!  
რა ხმა ისმის ნეტავ? საოცარია...  
ქრისტეანთა ეკლესიის ზარია?  
გაიღვიძეთ, ეს ხუმრობა როდია?  
როგორ, ვითომ, ქართველები მოდიან?  
გონს მოვიდნენ, ზე შემოსხდნენ სპილოთა,  
აქლემების სპათა უნაპიროთა  
ჩვენსკენ სძრავდნენ, ჩვენ გვისევდნენ რისხვითა  
გვერდშეჯარულთ, სამის წყრთისა ისრითა.  
როცა ძალა ძალას ვერა მორევსა,  
ნათქვამია ხერხი სჯობსო ღონესა:  
ქართველებმაც „ზე კი არ ჰკრეს სპილოსა:  
სარდლის რჩევით მაშხალები ანთეს,

აქლემ-სპილო ცეცხლის ალით დააფრთხეს,  
ერთურთს ხოცდნენ, თავი ველარ გაართვეს.  
დამრთხალ მხედართ ცხენთაც თავი წაართვეს.  
მოვიდა მცხოვრებთა მოსვრად და თრეკად;  
მოვიდა თვისივე სისხლისა თხეკად.

გაბრუნდა უკანვე ცუდღანაშვერი  
ეჭა, ნუქარდინ, საქმენი შენნი...  
გეზლო ესოდენ ბოროტს და თამამს,  
გაქრა, ნუქარდინ, ოცნება ამო,  
შორია თამარ...

გზა ფეხშიშველმა გამოვლო თამარ  
თავის ხალხის და სამშობლოს გამო.  
შენ მოდიოდი ხატების ლეწვად,  
ჩვენს აღსაგველად პირისგან მიწის.  
ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა,  
მან ხმლის ხმარება აკვანში იცის.  
გეზლო, ნუქარდინ, ბოროტს და თამამს,  
ქართველი ხალხი უნდოა მტერთან  
სუსტია თამარ... მძლავრია თამარ...

და არცა ღირს ხარ მის ფეხთა მტვერთა  
მოწმენდად ძვირფას ხამლისგან მისა.  
შენ მისთვის ბრძანე დაცნობა მზისა,  
მზე დაცხრა შენდა.

მზე აღმოხდება მის ლამაზ პირსა,  
როს უამბობენ საქმეთა შენთა.

აუ, ნუქარდინ, ახლახან მხოლოდ  
იცვამს მზექალი მზეასხმულ ქოშებს

და ანანავებს ვარძიის ქარი  
საქართველოს უძლეველ დროშებს.  
ეჭა, ნუქარდინ, ბედია მწყრალი,  
გესმის, სულთანო, მღერა ბარბითთა,  
ხმა მოლხენისა გაჭრილი ველად?  
ეს-თამარ წყნარი და შესაწყნარი  
შენს ალამს გზავნის დიდის ამბითა  
შეწირვად გელათს.

## **ჯანსუღ ჩარკვიანი** **საქართველოს სახალხო პოეტი**

### **თამარი**

ვითარცა ნათლის შემოსვლა  
ბრწყინავდა ციხის ცხრა კართან,  
მას ტანსა მზეი ემოსა,  
გვირგვინი ედგა ვარსკვლავთა.  
თან ახლდნენ ანგელოსები  
ნიკოფსიიდან დარუბანდს,  
აფხაზები და ოსები,  
ქართველნი, რაღა თქმა უნდა.  
მტერს უნდა შემოვუმტერო  
მზეში ნაბანი სიტყვანი,  
ნეტავი იმ დროს, რუსთველო,  
ყველანი ერთად ვიყავით.

## თმოგვი

მე ვეფერები შენს ლამაზ სხეულს  
და ვეფერები თამარის კალთას,  
ციხის ქონგურზე მტრედები სხედან,  
ქარები სხედან მტრედების გარდა.

მაღლა აფრენენ ქარები მტრედებს  
და ფროთხიალებენ ცაში მტრედები,  
მე შენი სხივით სავსე მაქვს მკერდი  
მიდიან წლები და მე ვბერდები.

მე ვბერდები და შორიდან გიხმობ,  
ათას წლის მიღმა გადახვეწილი,  
ზედ გულზე მადგას ვეება ციხე,  
კარშემტვრეული და დაღეწილი.

ზედ გულზე მადგას, როგორც ღვთის რისხვა,  
და ექოსავით შორიდან გიხმობ,  
შენ შეგიძლია, აიღო სისხლი  
და მომაშორო გულიდან ციხე.

შენ შეგიძლია, თამარის წყარო  
მომიტანო და მკერდზე მასხურო,  
რომ შემიცოდო,  
რომ შემიწყალო,  
რომ გამაცოცხლო და მიმსახურო.

გეკედრები და შორიდან გიხმობ,  
ათას წელს მიღმა გადახვეწილი,-  
ეს მე ვარ, თმოგვის ვეება ციხე,  
კარშემტვრეული და დაღეწილი.

საქართველოს რუკას...

- შენ სამყაროს რუკას ავსებ,  
- საქართველოს რუკას!..  
...ეურადა!..  
სალამურსაც  
და ჩონგურსაც უკრავ!..  
მოჩანს საქართველოს რუკა  
მთელ მსოფლიო ჭალად!  
ზედ-ქართველურ ტომთა კრება  
აფხაზ-მესხურ-ჭანად!  
ძგერენ სვანეთ-სამეგრელო  
საქართველოს ჯანად!..  
ფშავ-კახეთი... შიგადაშიგ  
დგანან „პაპაჯვარად“!  
თამარ მეფის საფლავს უვლის  
საქართველოს რუკა!  
ვეფხვის ტყავად დაფენილო,  
რის დახევა უკან!  
არა ვილაითის ვალი,  
ვახში არ გმართებს და...  
მიჯაჭვული მაინც შენთან  
ვდგავარ ლაშქარ-დედა!

შენ სამყაროს რუკას ავსებ,  
უპირველეს ყოვლის!  
ველო სამკვდრო-სასიცოცხლო  
ეროვნული ბრძოლის!

## *ვასილ გვეტაძე*

### **ცხრა კუბოში ჩაწოლილი დედოფალი**

ქალთა მწკრივი თავთან ენთო კელაპტრებად,  
ზედ დაადნეს ბორცვად დამდგარ მალლობს სული.  
ღრო-ჟამს ვჭვრეტთ და მოთქმას მოთქმა ემატება  
წარსულიდან ღრუბელივით წამოსული:

- ცხრა კუბოთი ცხრა ბილიკს რომ გაუყვები,  
სად გეძებოთ, ფიქლო და სანთლისფერო.  
დე, მომავლის დედები და ჩაუქები  
შემოკრბნენ და ეს დღეები გაიხსენონ...

ფერფლი მაინც მიმოვჩხრიკოთ ტრფიალებით  
(ქართლის მიწა თუ აიტანს მხოლოდ ამდენს).  
სად წასულან ის მხედრები მხრიანები,  
დედოფალს რომ აცილებდნენ ბოლო გზამდე.



მუხლის ჩოქვით მზეს შეჰფიცეს ერთგულება,  
ამის მოწმე მარტო მუნჯი მთა-ბარია.  
უფრო ფრთხილად მოიხილონ ეს ბუნება-  
უფრო ფრთხილად... თამარ მეფე აბარია.

ფრთხილად, ფრთხილად, მეფე-ქალი გაიღვიძებს,  
ყველას შემწე და ყველაფრის შემნლობარი...  
ერთ კუბოში მაინც გვემცნო ამ ყიჟინზე,  
ცხრა კუბოთი დამარხული დედოფალი.

დაგვენახა ერზე ფიქრით ნაწამები,  
მის ფეხთა წინ საქართველო გაიტვირინოს,  
და მიწაში ჩაწყობილი ნაწნავები  
ერთხელ კიდევ გულიანად დავიტიროთ.

## ***ნათითარები თამარ მეფისა***

ამ დროს მეტია ტანში სისხლი, სითბოც, ალერსიც,  
მშობლის ჟრუანტელს ამოიტანს ხომ დამახებაც.  
მოდის აქეთკენ, ჩვენკენ მოდის, ჯვრის მონასტერში  
საკურთხეველთან გასუსული შოთას სახება.

ფრთის გაშლასავით სანატრელი ეს დღე რამ არის  
და ეს ფრთებია, სხვის მიწაში წოლა ეყოფა.  
დღეს უსათუოდ მას შეხვდება მეფე თამარი  
და მოწიწებით მუხლს მოუყრის შოთა დედოფალს.

ბედის უკუღმა შებრუნებამ ვერ მიაოსა,  
შავი წაიღო, შეათეთრა ბინდმა თმა-წვერი,  
დღეს თვითონ შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“  
თამარს მიართმევს პერგამენტზე მის გადაწერილს.

თვალზე, ცრემლებო, თავისთავად ისევ ინთებით,  
სხვა სამღურავი ამ ტრიალმა რა თქვას ბედისამ.  
...ხელში უჭირავს ვეფხის წიგნი, შიგ თეთრ თითების  
ნათითარები ჩანს ფურცლებზე თამარ მეფისა.

უბით ატარებს, დედოფალო... წლებმა ამდენმა  
ველარ დამალა და ეტყობა ვერც იმალება...  
რვაასი წელი, უფრო მეტიც, ველარ ამდება  
ჯვრის მონასტერში მოწრიალე ბედის წვალება.

თვალთან მოქროლილ ტაიჭებზე, ფიქრნო ნარნარით  
მისკენ გიბიძგებს, ვინც აკვანი თქვენი არწია.  
შოთა იქაა, სადაც იყო მეფე თამარი,  
თმოგვი, ხერთვისი, გამოჭრილი კლდეში ვარძია.

## ბალათერ არაბული

### თამარის სამეფო (მესხეთის ციკლიდან)

სევდით გვავესებს მწვანე ნისლი-  
ხავსი ნაკლდამარიც;  
ეს ციხეა ფრიდონისი,  
ეს ტაძრები თამარის...

შორით შურთხის სტკენა ისმის,  
ვის უგალობს, ნეტავ ვის?  
ეს მთებია ასმათისი,  
ეს კოშკები ნესტანის...

ნაფერები ქართან დილის  
მზე სხივებით ფანტავს ნისლს;  
ეს ზვრებია ავთანდილის,  
ეს ყანები ფატმანის...

ნელ ნიავზე სუნთქავს ველი,  
ნამით ნაკამკამარი;  
ეს მხარეა რუსთაველის,  
და სამეფო თამარის...

თამარის ეპიტაფია

I

უბისს ავაგე საყდარი,  
უწყლოსა წყალი ვადინე,  
ზღვაში ჩავყარე სამნები,  
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,  
ისპაჰანს დავდე ბეგარა,  
სტამბულოს ხარაჯა ავიღე,  
ამდენი საქმის მომქმედმა  
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

II

როს გავიზარდე, გავივსე,  
თავი ცათამლის გავიღე,  
მისრეთს ხმალი ვკარ, დარუბანდს,  
მუნ საბალახე ავიღე.  
დასავლეთს პალო მივწვადე,  
რახსის წყალს გაღმა გავიღე.  
ამდენი საქმის მომქმედმა  
სრული ვარძიას დავიღე.

## ხალხური

### თამარ დედოფალი ვიყავ

თამარ დედოფალი ვიყავ,  
თავი ძირს აღარ დავიდე,  
ზღვაში ჩავეყარე სამნები,  
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,  
ქაჯებსა დავდე იჯარა,  
ისპაან ხარჯი ავიღე,  
სტამბულს ხმალი ვკარ, დარუბანდს,  
შამს საბალახე ავიღე,  
უსიერი მთა გავკაფე,  
დიდი შარავზა გავიღე,  
ლადალუდა ტყე ვიარე,  
ქვაზე საყდარი ავიგე,  
ამდენი საქმის მომქმედმა  
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

## ხალხური

\* \* \*

ჰოი, სინარულო, თამარ დედოფალო,  
ყველაზე ლამაზო თამარ დედოფალო,  
კბილ-მარგალიტი, თვალ-წარბ-გიშერი,  
შავი დალალეები აბრეშუმისა.

თავზე მუზარადი, წელზე-ჯავარდენი,  
ატლას კაბაზე – რკინის აბჯარი,  
ცხენი-ქვიშისფერი, ლაგამი-ოქროსი,  
ლაგამი-ოქროსი, ტახტი-ვერცხლისა.  
ეცერს მობრძანდები - თამარ დედოფალო,  
თამარ დედოფალო, თაიმარალი,  
ყველგან წვიმაა და ყველგან თოვლია,  
ეცერს ვაკეზე მზე ღვას ცხრათვალა.



# ორი მითი

**თამარი.** თამარის ღელას სიზმარი ესიზმრა, თითქოს თამარს ღმერთმა მთელი ხმელეთი ჩააბარა საპატრონოდ. სიზმარი ახდა: სამი თვის რომ შესრულდა თამარი, აკვნიდან წამომდგარა, ჯერ ხელპირი გადაუბანია, მერე პირჯვარი გადაუსახავს, ჩიქილა დაუხურავს, შეუყრია ჯარი და წასულა ზღვის პირას ზღვასთან საბრძოლველად.

თამარმა ზღვას გადაკრა თავისი ერთადერთი იარაღი – ჩიქილა, გააპო ზღვა და ხმელეთი გამოაჩინა. შუა ზღვაში სამანები ჩაყარა, რომ საზღვარი დაედო ზღვასა და ხმელეთს შორის, წყლის ერთი წვეთიც რომ არ გადმოღვრილიყო ხმელეთზე.

მიწა რომ გამოსტაცა ზღვას და დაიპყრო, ყველაფერი გააშადა ადამიანთა საცხოვრებლად: უსიერი ტყეები გაკაფა და გზები გაიყვანა, ქალაქი ააშენა და ხალხი დაასახლა, და რკინის ჭიშკარი შეაბა ქალაქს.

ბოლოს კი, მაღალ ქედზე საყდარი ააგო და ზედ ოქროს ჯვარი დაადგა.

თავად ერთ მაღალ მთაზე ავიდა და იქ გამართა თავისი სატახტო, იქიდან მართავდა ქვეყნიერებას.

თამარს ხმელეთის და ცის ყველა ქმნილება ემორჩილებოდა და მის ნებას ასრულებდა: ფრინველებს ქვა და ქვიშა აჰქონდათ მიუწვდომელ კლდეებზე ციხე-კოშკებისა და ეკლესიების ასაშენებლად.

თამარს მოთრგუნული ჰყავდა ეშმაკი და რაშად ქცეულს დააქროლებდა მთელს თავის საბრძანებელში: დილას რომ ქვეყნის ერთ კიდეზე აშენებდა, საღამოთი მეორე კიდეზე გაჩნდებოდა, მაგრამ ზღვა ბოლომდე არ იყო ღამორჩილებული, თავისი სიმდიდრე ჯერ კიდევ არ გაეცა მისთვის.

მაშინ ადგა თამარი და ხელმეორედ გაემართა ზღვასთან საომრად და მალე მოდრიკა იგი: ქარებს უბრძანა, ყოველი კუთხიდან მოეტანათ ჩალა და ბზე, გამხმარი ფიჩხი და თივა, რაც კი ხმელეთზე იპოვე-ბოდა, და ზღვაში ჩაეყარათ. მერე თამარმა ნავთი დაასხმევინა ზედ და ცეცხლი მოაკიდებინა. აბრიალდა ცეცხლი ზღვის ზედაპირზე, შეწუხდა ზღვა და შეუთ-ვალა თამარს, ოღონდ ნუ გადამბუგავ და, რასაც მთხვოვ მოგცემო.

დაეთანხმა თამარი და ზღვამ თავისი ჯურღ-მულებიდან გამოუგზავნა ცხოველები, თვალ-მარგალიტი და ღიღძალი დოვლათი.

ხალხის თქმულებით, თამარი არ მომკვდარა, მხოლოდ მძინარე ოქროს კუბოში ასვენია, კუბო საი-ღუმლო ადგილას არის და ანგელოზები იცავენ. მოვა დრო და თამარი გაიღვიძებს. ეს მაშინ მოხდება, რო-ცა ხალხი მეტიხმეტად შეწუხდება და სიცოცხლის სასო გადაეწურება. მაშინ აღდგება თამარი, ძღვეს მტერს და ქვეყნიერების ხელმწიფობას დაიბრუნებს. მის სამეფოში მარადიული გაზაფხული იქნება.



**თამარის სამოთხე.** თავდაპირველად თამარ დედოფალს ტახტი იალბუზის მთაზე ედგა. მის სამეფოში მარადიული ზაფხულოი იყო, ზამთარი არ იცოდა. თოვლი არ მოდიოდა არც მთაზე, არც ბარში. მთელ წელიწადს განუწყვეტლივ გაისმოდა გუგულის ხმა; ერთი პირი ხეხილი რომ ყვაოდა, მეორე მწიფდა და ასე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მთელ წელიწადს. ჟამიდან ჟამზე თამარი ჩავიდოდა ხოლმე ბარად თავისი სამეფოს მოსახილველად და ისევ უკან ბრუნდებოდა. მაგრამ უმეტეს ნაწილს მთაზე თავის სასახლეში ატარებდა, საიდანაც მთელი ქვეყნიერება ხელისგულივით ჩანდა.

თამარის მარადიულ სამეფოში არც სნეულება იყო, არც სიკვდილი, რადგან დრო არ გადიოდა. ასე იმიტომ იყო, რომ თამარს დრო-ჟამისა და ზამთარ-ზაფხულის გამჩენი შუქურვარსკვლავი, სხვანაირად ცისკრის ვარსკვლავი ჰყავდა დატყვევებული.

ერთხელაც, როცა თამარმა ბარში ჩასვლა მოისურვა, სასახლის მცველად თავისი ერთგული მსახური დატოვა და დაარიგა: შენ გაბარებ მთელ სასახლეს. ჰა, თორმეტი ოთახის კლიტე, ყველა ოთახის გაღება შეგიძლია, გარდა მეთორმეტისა. მეთორმეტე ოთახი არაფრით არ გააღო. თამარს სწორედ ამ მეთორმეტე ოთახში ჰყავდა გამომწყვდეული ფრთიანი სულღუმი (ზღაპრული უცხო ფრინველი).

ჩავიდა ბარად თამარი და დარჩა მისი სასახლე მსახურის ანაბარა. მსახური ცნობისმოყვარეობამ აი-

ტანა, ნეტავ რა არის იმ მეთორმეტე ოთახში დამ-  
ალულიო? რატომ ამიკრძალა დედოფალმა მისი გაღე-  
ბაო. ვერ მოითმინა და სულ პირველად სწორედ ამ  
აკრძალული ოთახის კარი გააღო. გაიღო თუ არა  
კარი, გამოფრინდა იქიდან სულლუმი და ცაში გაუჩი-  
ნარდა. ცა მოიღრუბლა, ქარიშხალი ატყდა, მოვიდა  
ქარბუქი და თოვლმა დაფარა მთელი მთა სას-  
ახლითურთ. მსახური მიხვდა, თუ რატომ უკრძალავ-  
და დედოფალი მეთორმეტე ოთახის გაღებას, მაგრამ  
რა ეღონა? გვიანდა იყო სინანული.

თამარი ამ დროს ეკლესიას აშენებდა ბაღდათში.  
შენობას ჭერილა აკლდა, რომ კალატოზებმა მოახ-  
სენეს: დედოფალი ქვებს ჭირხლი მოეკიდა და ველარ  
ვეწვეითო. თამარი მიხვდა, რომ მსახურმა აკრძალვა  
დაარღვია და წამსვე გასწია მთისკენ. როცა იალ-  
ბუზის კალთებთან მივიდა, დაინახა თოვლით  
გადალესილი მთა, სასახლეც არ ჩანდა. თამარმა ველ-  
არ შეძლო მთაზე ასვლა და დარჩა ბარად და დაიწყო  
დრო-ჟამმა დინება. ამიერიდან დღემდე ზაფხულს შე-  
მოდგომა მოსდევს, შემოდგომას-ზამთარი, ზამთარს-  
გაზაფხული და ასე ბრუნავს წელიწადი, ერთმანეთს  
ენაცვლებიან წელიწადის დროები.

# საქადრებალი ღოცვა

ღმრთივსათნოთა მეფობითა და საქმითა მოლუაწებისათა გაბრწყინებულ მოქალაქეო ზეცისა იერუსალიმისაო, წმიდაო თამარ! ზესთამბრძოლო ქართველთაო და სიქადულო დედათაო, მოწყალეო, ურისხველო, გლახაკთა ხელის-აღმპყრობელო და დავრდომილთა მსწრაფლ-შემწეო, ოხითა შენითა განმამხიარულებელო მჭმუნვარეთაო და სიმტკიცეო და ძალო სარწმუნოებითა შენდამი მოლტოლველთაო!

წმინდათა შორის დიდებულო და დედათა შორის კეთილმსახურებითა განბრწყინებულო, ყოვლადსაკვირველო მეფეო თამარ! დედობრივისა შენისა გულმოწყალებითა შეგვაწყნარენ შენ მიერ შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, ღმერთსა ჩუენსა, რაითა უსაზღვროითა მოწყალებითა თვისითა მოხედოს დედისა თვისისა წილხვდომილსა ერსა ჩუენსა, მტკვრთველსა საუფლოისა ჯუარისაისა ქუეყანასა ზედა და დაიცვას მტერისა საფრთხისაგან და ძმათა მტერობისაგან, ხოლო სარწმუნოებაი ჩუენი მისსა მიმართ კუალად განაახლოს და აღგვიდგინოს ცხებული ძირისაგან დავითისა, რომელი ძალითა ჯუარისაითა მოჰკრძალავს ზოგად ყოველთა საზლუართა საქართველოისასა და აღამალლებს და აღადგენს სიმადლეასა და ძლიერებასა ჩუენსა ქუეყანით დავიწყებისაით, რაითა ვიყოთ ერთ სამწყსო და უფალი იყოს მწყემს ჩუენდა. განძლიერე მსახურებასა შინა უწმიდესი და

უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე, მამაი ჩუენი ილია, ყოვლადსამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღვდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი, ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტიანენი.

ჴეშმარიტად ბრძენო მეფეო და ახოვანო მოლუაწეო, გვირგვინოსანო თამარ, დიდებულო! კუალად აღიპყრენ ლუაწლით შემოსილნი ხელნი შენნი ზეცათა მეუფისა მიმართ, რომლის წინაშე ღმრთიებრწყინვალითა გვირგვინითა დიდებულ-ხარ, სანატრელო, და გვითხოვე, რაითა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებაი, სამღვდელოთა პატიოსნებაი, მთავართა კეთილად მწყსაი ერისაი, მხედართა მამაცობაი, ერისაგანთა უცოდველობაი და დედათა კრძალულებაი, ხოლო ჩუენ მოგუანიჴოს კეთილ-მოქალაქეობით ცხოვრებაი, ქუელის საქმითა განშუენებაი, წმიდითა ლოცვითა განათლებაი, აღსარებითა განწმედაი, ზიარებითა გაბრწყინვებაი, პატიოსნად მიცუალებაი, სასუფეველსა დამკვიდრებაი, ანგელოზთა თანა გალობაი, წმიდათა თანა სუფევაი და შენ თანა დიდებაი და მადლობაი, რამეთუ მისა ჴმუენის ყოველი დიდებაი, პატივი და თაყუანისცემაი, თანა მამით და სული წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ქართლის ცხოვრება“
2. „ქართველი ერის ისტორია“
3. „გიორგი მერჩულე“ - პავლე ინგოროყვა
4. საქართველოს ისტორიის გამოცემები  
(სხვადასხვა)
5. „საპატრიარქოს უწყებანი“ (სხვადასხვა)

## სარჩევი

წმინდა მეფე თამარი .....	4
ზოგი რამ თქმულთაგან წმინდა მეფეზე .....	60
შოთა რუსთაველი - ვეფხისტყაოსანი (რამდენიმე ნაწყვეტი დასაწყისიდან) .....	60
ჩახრუხაძე - თამარიანი, ქება მეფისა თამარისი, (შესავალი, ამონარიდები) .....	61
იოანე შავთელი - აბდულმესიანი (ამონარიდები) .....	62
მეფე თეიმურაზ პირველი - თამარის სახე ღავით გარეჯას .....	64
რაფიელ ერისთავი - თამარიანი, (ნაწყვეტი ისტორი- ული პოემიდან) .....	66
გრიგოლ ორბელიანი - თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში .....	67
აკაკი წერეთელი, *** განა თამარნი ქვეყნად კვდებიან? .....	70
ვაჟა ფშაველა - დიდი თამარი .....	71
კოლაუ ნადირაძე - თამარის კურთხევა .....	72
ლადო ასათიანი - ციხის სიზმარი .....	74
ალექო შენგელია - თამარის ციხე .....	76
ვახტანგ ნადარეიშვილი - თამარ ქვაში?! (თამარ მეფე, ჩახრუხაძე, - ქანდაკებები ნიკოლაძისა)..	77
ანა კალანდაძე - შორია თამარ .....	81
ჯანსუღ ჩარკვიანი - თამარი .....	85
თმოგვი .....	86
ლიდა სტვილია - საქართველოს რუკას... ..	87
ვასილ გვეტაძე - ცხრა კუბოში ჩაწოლილი დედოფალი ნათითარები თამარ მეფისა .....	88
ბალათერ არაბული - თამარის სამეფო (მესხეთის ციკლიდან) .....	91
ხალხური- თამარის ეპიტაფია. თამარ დედოფალი ვიყავ. ორი მითი .....	92
სავედრებელი ლოცვა .....	95
გამოყენებული ლიტერატურა .....	99
.....	101